კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის

6

წლიური ანგარიში

1994 1995 1996 1997 1998 1999 2000 2001 2002 2003 2004 2005

1994 1995 1996 1997 1998 1999 2000 2001 2002 2003 2004 2005

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ზურაბ ბურდული, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: სტუდია „დეკვადრატი“
©2006, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის

წლიური ანგარიში

2006

ძვირფასო წევრებო, თანამშრომლებო, თანამოაზრეებო და მეგობრებო,

ეს არის ჩემი ბოლო მიმართვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის რანგში. აქედან გამომდინარე, ეს ყველაზე შესაბამისი შესაძლებლობაა,მადლობა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ასოციაციას ღირსეულად გაეგრძელებინა საკუთარი მისიის შესრულება. პირველ რიგში, ეს ეხება ასოციაციის თანამშრომლებს, წევრებს და ჩვენს თანამოაზრეებს ორგანიზაციის გარეთ, რომელთა დახმარებისა და თანამშრომლობის გარეშე ასოციაცია ვერ შეძლებდა თავისი მიზნებისა და საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. მადლობა ყველას, ვინც გასული ორი წლის განმავლობაში არ დაზოგა საკუთარი ენერგია ასოციაციის წარმატებისა და განვითარებისათვის.

არსებობის 12 წლის მანძილზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ორგანიზაციად, რომელმაც თავისი საქმიანობის უპირველეს ამოცანად დაისახა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მოსახლეობაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და სახელმწიფო ინსტიტუტების მუდმივი საზოგადოებრივი მონიტორინგი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ხელშეწყობისათვის.

ვინც ბოლო წლების განმავლობაში ასოციაციის საქმიანობას თვალს ადევნებდა, ალბათ გაახსენდება 2006 წლის იანვრის მოვლენები, როდესაც ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა, ასოციაციის წევრების ნაწილთან ერთად, საჯაროდ გაილაშქრა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წინააღმდეგ. ეს იყო, რიგ შემთხვევაში, კონსტრუქციული კრიტიკა, რისთვისაც მათ მხოლოდ და მხოლოდ მადლობა ეკუთვნით, თუმცა, სამწუხაროდ, იყო აგრესიული და დაუმსახურებელი თავდასხმაც. ჩვენი ორგანიზაცია, ხელმძღვანელობს რა სწორედ კრიტიკული, თუმცა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით სახელმწიფო სტრუქტურების მონიტორინგის პროცესში, თავადაც ყოველთვის მზად არის, მიიღოს ნებისმიერი კრიტიკული შენიშვნა თუ წინადადება, ვინაიდან პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის ცოტა რამეს თუ შეუძლია გასწიოს ისეთი სასარგებლო სამსახური, როგორიც კონსტრუქციული კრიტიკაა.

თუმცა, გასული წლის განმავლობაში ასოციაციის მიერ გადატანილ სიძნელეებს ხელი არ შეუშლია მისი განვითარებისთვის. უფრო მეტიც, ეს სირთულეები გარკვეულწილად იყო მუხტის მიმცემი და ერთგვარი გენერატორი მის მიერ განხორციელებულ საქმიანობებში.

ისევე, როგორც გასულ წლებში, 2006 წელსაც ასოციაციის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტად რჩებოდა მოწყვლადი მოსახლეობის უფასო იურიდიული დახმარება. საიას იურისტების მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების შესახებ არსებული სტატისტიკა ცხადყოფს ამ კუთხით მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას.

ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც საიამ განახორციელა სასამართლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ჩვენ მხარდაჭერა გამოვუცხადეთ და სამართლებრივი დახმარება გავუწიეთ ყველა იმ მოსამართლეს, რომლებმაც განიცადეს აშკარა ზეწოლა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან და რომლებმაც ამ ზეწოლის შესახებ ხმამაღლა განაცხადეს. ჩვენვე უზრუნველვყავით ქართული და უცხოური საზოგადოების ინფორმირება ქართულ სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მონაწილეობა მივიღეთ ამ კუთხით წარმართულ საზოგადოებრივ დისკუსიაში და მოვახდინეთ არაერთი საკანონმდებლო წინადადების ინიცირება რეფორმის გაუმჯობესების მიზნით. ქვეყანაში დემოკრატიული წყობის დამყარებისათვის სამართლიანი სასამართლოს არსებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზრუნვა კვლავაც დარჩება ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტად.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ საქმიანობებს, რაც ასოციაციის წევრებმა და თანამშრომლებმა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევათა შემცირების კუთხით განახორციელეს. ეს ის სფეროა, სადაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასოციაციის მცდელობებმა გარკვეული შედეგი გამოიღო, თუნდაც, სპეციალური ოპერაციების დროს მსხვერპლთა რაოდენობის შემცირების სახით. აქვე უნდა ითქვას, რომ ასოციაციისათვის კვლავაც უმთავრეს საზრუნავად დარჩა სამართალდამცავთა დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობებისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ასევე აქტიურად იყო ჩართული საჯარო სამსახურების ანტიკორუფციული მონიტორინგის პროცესში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის. აგრეთვე, ინტენსიურად ვთანამშრომლობდით საქართველოს პარლამენტთან კანონპროექტებზე მომზადებული დასკვნებისა და საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენის გზით და ეს თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, აუცილებლად გაგრძელდება.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ გასული წლის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განიმტკიცა საკუთარი როლი, როგორც დამოუკიდებელმა და კომპეტენტურმა ორგანიზაციამ. იმედია, ის გამოცდილება, რომელიც ამ წლების მანძილზე ასოციაციაში დაგროვდა, სასარგებლო იქნება მისი მომავალი საქმიანობისა და წარმატებული მოღვაწეობისათვის საწესდებო მიზნების განხორციელების გზაზე.

პატივისცემით,

ანა დოლიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე
(2004 წლის დეკემბერი - 2006 წლის ნოემბერი)

Cordaid
CENTRE FOR INTERNATIONAL LEGAL COOPERATION
iris
JE MAINTIENDRAI
ABA
CEELI
UNITED STATES AGENCY INTERNATIONAL DEVELOPMENT
USAID
USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
ORGANISATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT
OECD
UNFPA
Oxfam Novib
THE EURASIA FOUNDATION
WORLD LEARNING
COMITE INTERNATIONAL GENEVE
ICRC
NED
National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Office for Democratic Institutions and Human Rights
OSCE
ODIHR

წინასიტყვაობა 4

სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება 9

- ავტო-ტურები – შეხვედრები მოსახლეობასთან 9
- საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ადამიანის უფლებათა დასაცავად - 2006 წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები და აქციები . . . . . ?
- ათასწლეულის განვითარების მიზნები დღის წესრიგში 12

უფასო იურიდიული დახმარება, სტრატეგიული სამართალწარმოება და იურიდიული დახმარების სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

- იურიდიული დახმარების სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა 14
- უფასო იურიდიული დახმარება და სამართალწარმოება სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეებზე. 14
- საადვოკატო მომსახურება 15
- სტრატეგიული სამართალწარმოება 18
- მოქალაქეთა წარმომადგენლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. 19
- თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან 21

არა ადამიანებით ტრეფიკინგს! 23

ოჯახური ძალადობ - პრევენცია 27

ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობა

- არჩევნების მონიტორინგი. 29
- ფინანსური გამჭვირვალობა და საჯარო დაწესებულებების ანტიკორუფციული მონიტორინგი 33
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის განხორციელების სამართლებრივი მონიტორინგი 35
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა 37
- პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში 38
- ალტერნატიული ანგარიშები, პარტიების დაფინანსების მონიტორინგი, „სამართლიანი თამაში" 40
- თანამშრომლობა სახელმწიფო ორგანოებთან, საკონსულტაციო/მონიტორინგის საბჭოებსა და კომისიებში მონაწილეობით 41
- კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა. 44

იურიდიული განათლება 45

- საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი განვითარების გზაჯვარედინზე 46
- იურიდიული ბიბლიოთეკა 47

ორგანიზაციული განვითარება 48

- 2002-2006 წლების საქმიანობის შეფასება 48
- საიას 2007-2010 წლების სტრატეგია 48

ფინანსური ანგარიში 49

ჩვენი ხედვა:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იურისტების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. ჩვენ იურისტის პროფესიული ღირსების დაცვისა და მომავლის ერთიანი ხედვა გვაერთიანებს.

ჩვენი მისია:

ჩვენ მოწოდებული ვართ, ხელი შევუწყოთ ისეთი საქართველოს შენებას, სადაც საზოგადოება აქტიური და მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონეა, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულია, სადაც მოქმედებს კანონის უზენაესობა და სახელმწიფოს ძალაუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებით.
ჩვენ მტკიცედ გვჯერა იმ ღირებულებების, რომლებზეც შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია და ვემსახურებით მათ დამკვიდრებას.

ჩვენი ფასეულობები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ლიბერალურ ფასეულობებზე დაფუძნებული ორგანიზაციაა და ყველა თაობა თავის საქმიანობაში სწორედ ამ ფასეულობებით ხელმძღვანელობს.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- პროფესიონალიზმი;
- პროფესიული ღირსება და ეთიკა;
- თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა;
- გამჭვირვალობა, თანამონაწილეობა და ანგარიშვალდებულება;
- თანმიმდევრულობა.

ჩვენი დევიზი

"კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის"

სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება

დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია. კანონის უზენაესობა კი – ამ პროცესის ქვაკუთხედი. ეს ქვაკუთხედი მოქალაქეთა ცნობიერების ქვაკუთხედი უნდა იყოს. სწორედ ასეთი მოქალაქე შეიძლება იყოს აქტიური, საკუთარი უფლებების სადარაჯოზე მდგომი და ყოველდღიური დემოკრატიის შემოქმედი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საქართველოში ამგვარი მოქალაქეობრივი მართლშეგნების გაღვივებას.

ავტო-ტურები – შეხვედრები მოსახლეობასთან

მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საიას ყველა ოფისი პერიოდულად აწყობს გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან, ატარებს საჯარო შეხვედრებს, პრესკონფერენციებსა და აქციებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, ამზადებს რადიო გადაცემებს, სოციალურ კლიპებს, აქვეყნებს სხვადასხვა პუბლიკაციას და საგაზეთო ჩანართებს.

ჩვენ მოვდივართ თქვენთან

სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საიას მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საქმიანობად რჩება ავტო-ტურები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიაში მიმდინარე სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული პროექტების ფარგლებში, განხორციელდა 7 ავტო-ტური საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: დმანისი-წალკა, ჩოხატაურისა და აჭარის მაღალმთიანი რეგიონები, სიღნაღის რაიონი, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ბორჯომი-ბაკურიანი. ავტო-ტურებში მონაწილეობდნენ საიას რეგიონული ოფისებისა და თბილისის ოფისის იურისტები. ისინი ეწვივნენ 67 სოფელს და კონსულტაცია გაუწიეს 2500 ადამიანს. გამოვლენილ სპეციფიკურ სამართლებრივ პრობლემებზე მუშაობას აგრძელებდა შესაბამისი რეგიონული ოფისი და ქმედით დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას (თელავის ოფისი მუშაობს სიღნაღში ეკომიგრანტების მიერ საკარმიდამო ნაკვეთებისა და სახლების საკუთრებაში გაფორმებაზე, ქუთაისის ფილიალი – კომუნალური მრიცხველების პრობლემაზე, ასევე, ჰიდროელექტროსადგურის მიმდებარედ მყოფი მოსახლეობის უფლებებზე, რუსთავის ოფისი – დმანისსა და წალკაში მცხოვრები უმცირესობების უფლებებზე).

საიას რეგიონული ოფისების მიერ ორგანიზებულ ***სემინარებში, მრგვალ მაგიდებსა და გასვლით შეხვედრებში*** დაახლოებით 1000-მა პირმა მიიღო მონაწილეობა (არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი აქტივისტები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოქმედი ადვოკატები, პროკურორები და მოსამართლეები). შეხვედრების თემა ძირითადად იყო მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეები, ახალი თვითმმართველობა, ადმინისტრაციული წარმოება, სისხლის სამართლის ნოვაციები და მოსალოდნელი სიახლეები, ადგილობრივ დონეზე აქტუალური სამართლებრივი საკითხები.

იცით თქვენი უფლებების შესახებ?

საიას იურიდიული დახმარების ცენტრებიდან შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მომზადდა ***15-მდე დასახელების ბროშურა და ბუკლეტი*** მოსახლეობისათვის აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა სასამართლოსათვის მიმართვის წესი და პროცედურა, შეღავათები ელექტროენერგიაზე, სახელმწიფო პენსია,

ყველაფერი განქორწინების შესახებ, ბუკლეტი ინფორმაციის თავისუფლებაზე - უფლება გაქვს, იცოდე, მოითხოვო, მონაწილეობა მიიღო... (ქართულ, ქართულ-რუსულ ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე).

საგაზეთო ჩანართები რეგიონულ გაზეთებში: "სპექტრი," "ხალხის გაზეთი". რადიო გადაცემები გორში, ქუთაისსა და თელავში ძირითადად თვითმმართველობის ახალი კანონმდებლობის თემაზე.

სოციალური რეკლამები

2006 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი სარეკლამო სცენარების მომზადებაზე. თემები: უდანაშაულობის პრეზუმფცია; სიცოცხლის უფლება - სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები; არასრულწლოვანთა უფლებები დაკავებისას. შემოვიდა 40-მდე საინტერესო სცენარი, გამოვლინდა 4 საუკეთესო. კონკურსის გამოცხადებას, თავის მხრივ, მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების დატვირთვა ჰქონდა. საიას მიერ ორგანიზებულ ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში 2006 წლის 13 დეკემბერს მოხდა კლიპების პრეზენტაცია ფართო საზოგადოებისათვის. სარეკლამო რგოლები საზოგადოებრივი ტელევიზიისა და კომერციული ტელეარხების მეშვეობით გადაიცა. სარეკლამო რგოლების თემატიკაზე მომზადდა სიუჟეტებიც.

საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ადამიანის უფლებათა დასაცავად - 2006 წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები და აქციები

2006 წლის განმავლობაში საია არაერთი ღონისძიებისა თუ აქციის ორგანიზატორი იყო. მათგან გარკვეული ნაწილი კოალიციური გახლდათ, ნაწილი – უშუალოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული.

17 მარტი – არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია „სიცოცხლის სიგნალი!", რომელიც გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან და გამოხატავდა საზოგადოებრივ პროტესტს სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით.

საიამ 20 მაისს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" საქართველოსთვის ძალაში შესვლის დღის აღსანიშნავად თბილისსა და ქუთაისში გამართა აქცია „დატოვე ანაბეჭდი!", რომელიც სიცოცხლის უფლებას მიეძღვნა. აქციაზე სპეცრაზმელთა თეთრ ნიღბებში გამოწყობილი ახალგაზრდები თბილისში – რუსთაველის გამზირზე და ქუთაისში – აღმაშენებლის მოედანზე გამვლელებს საქართველოს კონსტიტუციისა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის" იმ ნორმებს აცნობდნენ, რომლითაც სიცოცხლის უფლებაა აღიარებული და დაცული.

აქცია ინტერაქტიული იყო. თითოეულ მოქალაქეს საშუალება ჰქონდა, ორიგინალურად, ხელის ანაბეჭდით, გამოეხატა საკუთარი ნება სიცოცხლის უფლების დასაცავად.

აქციას საიას სხვა რეგიონული ოფისებიც შეუერთდნენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე რადიოგადაცემების, მოსწავლეთათვის გაკვეთილებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზების ფორმით. 12 მაისს კი, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის რატიფიცირების დღესთან დაკავშირებით, საიას აჭარის ფილიალმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ბათუმის ზღვისპირა პარკში 30 ხე დარგო. ამ ადგილას „სიცოცხლის" სკვერი გაკეთდება.

2006 წლის მიწურულს საიამ აღნიშნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე და მოაწყო „ადამიანის უფლებათა კვირეული". 10-დან 20 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე თითო აქცია და ღონისძიება ტარდებოდა.
უშუალოდ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს (10 დეკემბერი) სახალხო დამცველის აპარატის ეზოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ – გიორგი ჩხეიძემ და საქართველოს სახალხო დამცველმა – სოზარ სუბარმა ადამიანის უფლებათა მონუმენტი გახსნეს.

„ადამიანის უფლებათა ხე" – ასე ჰქვია ქანდაკებას, რომელიც სპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით მხატვარმა გუგა კოტეტიშვილმა დაამზადა. ხეზე ადამიანის ძირითადი უფლებებია დაწერილი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ადამიანის უფლებათა დღის ადამიანის უფლებათა კვირეულით აღნიშვნას საფუძველი 2005 წელს ჩაუყარა.



2005 წლის 10 დეკემბერს, საიას ორგანიზებით, გენერალურ პროკურატურასთან თეატრალიზებული წარმოდგენა მოეწყო. მსახიობები იმ მსხვერპლებს განასახიერებდნენ, რომელთა მიმართაც სწორედ დეკლარაციაში ჩამოთვლილი ხელშეუხებელი უფლებები ირღვევა.
წარმოდგენის შემდეგ საიას თანამშრომლებმა და ათეულობით მოხალისემ გენერალური პროკურატურის გალავანს „ცოცხალი ჯაჭვი" შემოავლეს.
20 დეკემბრის ჩათვლით გრძელდებოდა ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის უფლებებს მიეძღვნა.

2006 წლის განმავლობაში საიამ ათობით პრესკონფერენცია და საჯარო ღონისძიება მოაწყო მიმდინარე პროექტების წარმატებების, ანგარიშებისა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე – საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მისაწოდებლად.

2006 წლის იანვარში შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსათვის" – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიმართ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან გალაშქრებასთან დაკავშირებით, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსოლიდირების ინიციატივა საქართველოში დემოკრატიის განვითარებისათვის. კოალიციაში გაერთიანებულია 12 დამფუძნებელი წევრი. კოალიციამ უმასპინძლა არაერთ კონფერენციასა და საჯარო ღონისძიებას, სადაც მონაწილე ორგანიზაციებმა გამოხატეს საკუთარი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. 2006 წლის ივნისში კოალიციამ ორგანიზება გაუკეთა არასამთავრობო ორგანიზაციების კონგრესს, რომელსაც ესწრებოდა 300-ზე მეტი ორგანიზაციის წარმომადგენელი მთელი საქართველოდან. კონგრესმა მიიღო დეკლარაცია, რომელშიც გამოხატა კრიტიკული დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით და დაადასტურა მზადყოფნა დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისადმი. დეკლარაცია გაეგზავნა ყველა ძირითად სახელმწიფო უწყებას და გამოქვეყნდა პრესაში.

ათასწლეულის განვითარების მიზნები დღის წესრიგში

ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან კამპანიას საია ახორციელებდა კოალიციური პროექტის „ათასწლეულის განვითარების მიზნები დღის წესრიგში" ფარგლებში. პროექტის მიზანია, ხელისუფლებაზე ზეგავლენის გზით, ხელი შეუწყოს ქვეყანაში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობისა და დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას.
მიზნის მისაღწევად პროექტი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის გაერთიანებას ითვალისწინებს, რათა მათ ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლებაზე და ხელი შეუწყონ ***ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულებაზე ორიენტირებული, ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას.*** პროექტს ჩვენ ვახორციელებთ Oxfam Novib -ისა და Oxfam - დიდი ბრიტანეთის ფინანსური მხარდაჭერით პარტნიორ ორგანიზაციებთან: საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასა და Welfare Foundation-თან ერთად.

2006 წლის 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს სამოქალაქო ალიანსმა ***„მომავალი სიღარიბის გარეშე"*** თეთრი სარტყელის დღე მოაწყო. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ერთდროულად თბილისსა და ქუთაისში გაიმართა.

თბილისში, დღის განმავლობაში, მოხალისეები სპეციალურად ამ დღისათვის მომზადებულ და დაბეჭდილ საინფორმაციო ლიფლეტებს ურიგებდნენ გამვლელებს. აქციის კულმინაცია ჰელიუმით დატვირთული 1000 ბუშტის გაშვება იყო. თითოეულ ბუშტს მიმაგრებული ჰქონდა "ათასწლეულის ბარათი" - ბარათი, რომელიც ზოგად ინფორმაციას შეიცავდა ათასწლეულის განვითარების მიზნების შესახებ, ასევე, მოუწოდებდა ბარათის მპოვნელ ბავშვს, ბარათი ისევ ჩვენთვის გამოეგზავნა და ამით ექნებოდა შანსი, მიეღო 50 საჩუქრიდან ერთ-ერთი. ქუთაისში ადგილობრივმა თოჯინების თეატრმა დავით აღმაშენებლის ბაღში წარმოდგენა გამართა. პარკში შეკრებილი ბავშვებისთვის ბავშვთა უფლებების კონვენციაზე აგებული ზღაპარი გათამაშდა. აქციას 300-მდე ბავშვი და მოზარდი ესწრებოდა. მოხალისეებმა 200 ლიფლეტი დაარიგეს, ხოლო წარმოდგენის შემდეგ 500 საჰაერო ბუშტი გაუშვეს ათასწლეულის ბარათთან ერთად.

30 სექტემბრისთვის საიამ მიიღო 1 ივნისის აქციაზე ჰაერბურთებით გავრცელებული 39 ბარათი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან: თბილისი, გორი, ცხინვალი, ქარელი, ქუთაისი, ბაღდათი, წყალტუბო, ფოთი, მცხეთა, მარტვილი. დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა 8 ოქტომბერს. მონაწილეები დასაჩუქრდნენ როგორც წიგნებით, ასევე სათამაშოებით.

ამ დაჯილდოებაზე მოხდა „ათასწლეულის გასაფერადებლის" პრეზენტაცია, რომელიც ბავშვებისთვის შეიქმნა. ეს იყო ილუსტრირებული ზღაპარი ათასწლეულის 8 მიზანზე, რომელსაც გაეცნობოდნენ ბავშვები და მშობლები. გასაფერადებლის ბოლო გვერდზე ისევ ბარათი იყო განთავსებული, რომელიც მფლობელს უნდა შეევსო და ჩვენთვის დაებრუნებინა. 50 ყველაზე შორი მანძილიდან გამოგზავნილი ბარათის მფლობელი ბავშვის დაჯილდოება დედის დღეს - 2007 წლის 3 მარტს გაიმართა.

ორივე აქციის მიზანი იყო, ჩვენი საზოგადოების ყველაზე პატარა წევრებისა და მათი ოჯახებისთვის ორიგინალური ფორმით მიგვეწოდებინა ინფორმაცია ათასწლეულის განვითარების მიზნების შესახებ და ისინიც ჩაგვერთო გლობალურ კამპანიაში სიღარიბის წინააღმდეგ.

უფასო იურიდიული დახმარება, სტრატეგიული სამართალწარმოება და იურიდიული დახმარების სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

იურიდიული დახმარების სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

2006 წლის პირველ ნახევარში ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით მიმდინარეობდა უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის პროექტი, რომლის ფარგლებშიც საია აქტიურად განაგრძობდა მოღვაწეობას უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ხელშეწყობის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა იურიდიული დახმარების კანონპროექტზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოსთან“ ერთად.

იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველი თითოეული მოქალაქისათვის სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა, ამ ვალდებულების განხორციელება შესაბამისი სისტემებისა თუ სტრატეგიის არარსებობის, ასევე, მწირი დაფინანსების პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

2005 წლის აპრილიდან კონცეფციით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების ერთ-ერთი მოდელის გამოცდა დაიწყო და, იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური და სამსახურის თბილისისა (გლდანი-ნაძალადევის რაიონი) და ზესტაფონის ორი ტერიტორიული ბიურო შეიქმნა.

უფასო იურიდიული დახმარება და სამართალწარმოება სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეებზე

საანგარიშო პერიოდში საია თავის რვავე ოფისში განაგრძობდა მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული მომსახურების გაწევას. მომმართველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. **საკონსულტაციო მომსახურების მაჩვენებლები, წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით, თითქმის ორჯერ გაიზარდა:**

ოფისები	სატელეფონო	პირადი კონსულტაციები	გასვლითი შეხვედრები	ონლაინ კონსულტაციები	სულ
თბილისი	7663	10651	282	152	**18748**
ქუთაისი	6141	8725	3228	216	**18310**
გორი	1698	8599	2129	0	**12426**
რუსთავი	2659	2702	601	0	**5962**
ოზურგეთი	194	2694	497	0	**3385**
თელავი	299	2667	860	0	**3826**

აჭარა	431	2610	0	0	**3041**
დუშეთი	364	395	192	0	**951**
სულ	**19449**	**39043**	**7789**	**368**	**66649**

ოფისები	**სატელეფონო**	**პირადი კონსულტაციები**	**გასვლითი შეხვედრები**	**ონლაინ კონსულტაციები**	**სულ**

საკონსულტაციო მომსახურებასთან ერთად, ჩვენი იურიდიული დახმარების ცენტრები მოქალაქეებისთვის ადგენენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს (განცხადებები, სარჩელები, შესაგებლები, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები, შუამდგომლობები, საჩივრები და ა.შ.).

ოფისები	თბილისი	აჭარა	ქუთაისი	გორი	რუსთავი	ოზურგეთი	თელავი	დუშეთი	სულ
დოკუმენტი	644	113	294	596	281	318	134	108	2488

გასვლითი კონსულტაციების ფორმატი საანგარიშო პერიოდში ოდნავ სახეშეცვლილი იყო. ოფისების წარმომადგენლები მიდიოდნენ კონკრეტულ რეგიონში, იკვლევდნენ იქ არსებულ პრობლემებს და შემდეგ ამ დასახლებაში ვიზიტებს აგრძელებდნენ არსებული პრობლემის ბოლომდე შესასწავლად და მოსახლეობისთვის ქმედითი დახმარების აღმოსაჩენად.

საადვოკატო მომსახურება

საიას ოფისების იურიდიული დახმარების ცენტრები განაგრძობენ მოსახლეობისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევას სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. ჩვენ ვემსახურებით მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს კერძო საადვოკატო მომსახურებით.

ჩვენი ძირითადი სამიზნე ჯგუფები:

- იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი;
- არასრულწლოვნები;
- უმცირესობათა წარმომადგენლები;
- მარტოხელა ხანდაზმულები;
- მარტოხელა დედები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (ინვალიდები და სხვა);
- მრავალშვილიანი დედები.

იურიდიული მომსახურების გაწევისას ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სწორი რეაგირება მოვახდინოთ ადამიანის უფლებების დარღვევაზე და ხელი შევუწყოთ კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას. ამდენად, სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეზე, როცა ირღვევა ფუნდამენტური უფლებები, ჩვენ ვახორციელებთ მომსახურებას მოქალაქისთვის, კერძო საადვოკატო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიუხედავად.

2006 წელს სულ, საიას ყველა ოფისის მიერ, წარმოებული იქნა 325 საქმე შიდა სასამართლოებში, ადმინისტრაციული და წინასწარი გამოძიების ორგანოების წინაშე, აქედან 78 უკვე წარმატებით დასრულდა.

	თბილისი	გორი	ოზურგეთი	თელავი	ქუთაისი	რუსთავი	აჭარა	დუშეთი	სულ
ადმინისტრაციული	37	7	0	8	14	16	2	3	87
სისხლის სამართალი	52	3	3	8	3	7	13	2	91
სამოქალაქო სამართალი	26	3	2	3	5	9	2	19	69
წარმატებული საქმეები	29	4	2	9	3	5	6	20	78
სულ	144	13	5	19	22	32	17	24	325

წარმოგიდგენთ წარმატებულ საქმეთა მაგალითებს

ადმინისტრაციული საქმეები:

ჩვენი აქტიური ჩარევითა და დახმარებით:

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისი დიპლომის დანართები.

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თამარ და ეთერ ცინცაძეებს მატერიალური და მორალური ზიანის სახით გადაუხადა 95 000 ლარი.

– მოქალაქემ მიიღო პენსიაზე დანამატი.

– მოქალაქის მიერ ნაშვილები ბავშვის პირველად ჩანაწერებში შევიდა ცვლილებები.

◆ სასამართლომ გამოსცა დამცავი ორდერი ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით.

– არაერთმა მოქალაქემ მოახერხა, მიეღო კომპენსაცია ნავთობსადენის მშენებლობისას დაზიანებული მიწის ნაკვეთისა და მიუღებელი მოსავლისათვის;

სისხლის სამართლის საქმეები

◆ ნ. ლ.-ს საქმე

დაისაჯნენ ნ. ლ.-სა და მისი ოჯახის წევრების დამყაჩაღებლები

◆ კ. მ. საქმე

სასჯელი - ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა კ. მ-ს, რომლის მიმართაც პროკურატურა ითხოვდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.

◆ ე. გ-ს საქმე (ოზურგეთი)

ე. გ. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და ჯარიმის სახით 500 ლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს სასამართლო დარბაზიდან.

◆ ეთერ ჭუმბურიძის საქმე

ეთერ ჭუმბურიძის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

◆ ლომბარდის საქმე

ლომბარდის ხუთ მუშაკს დაუბრუნდა ჩამორთმეული ტელეფონის აპარატები.

◆ მ. რ-ის საქმე (ბათუმი)

მ. რ. განიცდიდა ოჯახის წევრების (ქმარი, მამამთილი) მხრიდან როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ზემოქმედებას. პროკურატურის მხრიდან ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილდა და მოძალადეები მიეცნენ პასუხისგებაში.

◆ გ. თ-ის საქმე

გ. თ. გახლდათ დმანისის შს რაიგანყოფილების ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი და მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში იგი სრულად იქნა გამართლებული.

◆ ა. ხ-ის საქმე

ჩვენი მოთხოვნა, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, დაკმაყოფილდა და განსასჯელი გადაიგზავნა ქ. ფოთში სამკურნალოდ.

◆ გ. ბ-ს საქმე

გ. ბ-ს, ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო.

◆ ვ. პ-ს საქმე

ვ. პ-ს მიმართ წაყენებული მუხლი ითვალისწინებდა სასჯელს - 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წელი და 6 თვე.

◆ ა. გ-ის საქმე

საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ ა. გ-ს, სასჯელის სახით, განესაზღვრა 3 (სამი) წელი პირობითი მსჯავრის გამოყენებით.

◆ საბა წიწიკაშვილის საქმე
ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილზე თავდამსხმელს სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით.

◆ რევაზ ცალანის საქმე
რევაზ ცალანის ცემის ფაქტზე დაწყებული წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ პასუხისგებაში მიეცა ორი პოლიციელი, რომელთაგან ერთ-ერთი პოლიციის უფროსი იყო. ამჟამად საქმეს ქუთაისის ფილიალი აწარმოებს.

◆ ციალა შანავას საქმე
სპეცოპერაციისას მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მშობელი ციალა შანავა ცნობილ იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

◆ ა. გ-ს საქმე
ა. გ. ცნობილი იქნა დაზარალებულად.

◆ ო. ზ-ის საქმე
ო. ზ-ის საქმეზე აცილებულ იქნა გამომძიებელი, რომელსაც ამ საქმის პირადი ინტერესი ჰქონდა.

სამოქალაქო საქმეები
საიას წარმომადგენლობით, წარმატებით დასრულდა სამოქალაქო საქმეებიც. კონკრეტულად:

◆ განქორწინებისა და ალიმენტის დანიშვნასთან დაკავშირებით - 7 საქმე;

◆ უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით - 1 საქმე;

◆ საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით - 1 საქმე;

◆ პირის ქმედუუნაროდ აღიარებისა და მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით - 1 საქმე;

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2006 წლის განმავლობაში განხილვის სხვადასხვა ეტაპზე გრძელდებოდა 26 საქმე.

წარმატებული საქმეები საიას რეგიონულ ოფისებში

ქუთაისის ფილიალი

◆ ***შალვა, გურამ და დავით ჟორჟოლიანების*** წამების ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციელებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა.

◆ სპეცოპერაციის დროს მოკლული ***რ.კიზირიას, ა. ბაბუხადიას და ნ.ბენდელიანის*** მშობლები ცნობილ იქნენ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

◆ ***ვ. ა-ს*** მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, ქუთაისის ფილიალის დახმარებით შეწყდა წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

თელავის ოფისი

◆ ***ნ. ჩ.*** საგადასახადო ინსპექციამ უსაფუძვლოდ დააჯარიმა 4623 ლარით. თელავის ოფისის ადვოკატის დახმარებით ნ. ჩ-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას ჯარიმის სახით მხოლოდ 562 ლარის გადახდა დაეკისრა.

◆ ***მომხმარებლები სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის წინააღმდეგ“.*** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისმა განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს და მოითხოვა ს.ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების, კონკრეტულად კი, საერთო მოხმარების მრიცხველების მქონე აბონენტთა მიმართ მაღალი სატარიფო განაკვეთის გამოყენების ფაქტების შესწავლა და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება. სემეკმა განიხილა ეს საკითხი და ის მომხმარებელთა ინტერესების სასარგებლოდ გადაწყდა - ს.ს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ დაავალდებულა, მოსახლეობას გადაახდევინოს კანონით დადგენილი ტარიფი. მოსახლეობას მომავალ გადასახადში ჩაეთვალა კომპანიის მიერ მათგან უკანონოდ ამოღებული ახალი მრიცხველების საფასური.

◆ ა. ო-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, თელავის ოფისის დახმარებით, ნაცვლად აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისა, სასამართლომ დააკისრა ვალდებულება გამოცხადების შესახებ.

აჭარის ფილიალი

◆ საიას აჭარის ფილიალმა ბათუმის განათლების განყოფილების ყოფილ მუშაკებს იურიდიული დახმარება გაუწია. სარჩელი ეხებოდა მიუღებელი პრემიისა და წელთა ნამსახურობის ანაზღაურებას. საქმე მოსარჩელეების სასარგებლოდ გადაწყდა და ბათუმის მერიას, მოსარჩელეთა სასარგებლოდ, დაეკისრა მიუღებელი პრემიისა და წელთა ნამსახურობის

დანამატის ანაზღაურება.

გორის ოფისი

◆ თ. კ.-ს, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს წარმოადგენს, მეუღლე ხშირად აყენებდა როგორც სიტყვიერ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას. საიას გორის ოფისის ადვოკატის ჩარევის შედეგად, ის მეუღლესთან განქორწინდა და ამ უკანასკნელს ბავშვის სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარის გადახდა ალიმენტის სახით.

◆ გ. თ-ძეს ბრალი ედებოდა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით. საიას გორის ოფისის ადვოკატის დახმარებით მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რომელიც ჩაეთვალა პირობით მსჯავრად, თუმცა, პროკურატურა ითხოვდა 2 წლიან პირობით მსჯავრსა და 2000 ლარის ჯარიმის სახით დაკისრებას.

რუსთავის ოფისი

◆ საანგარიშო პერიოდში საიას რუსთავის ოფისმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. მოსარჩელე ითხოვდა ინფორმაციას ქალაქის მარჯვენა სანაპიროს მარცხენა სანაპიროსაკენ დამაკავშირებელი ხიდის საექსპლოატაციო ვადის თაობაზე. მოსარჩელემ მერიასაც მოსთხოვა საგანგებო კომისიის შექმნა ხიდის საექსპლოატაციო ვადის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა, საჯარო ინფორმაცია არ გაუციათ. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაევალა ინფორმაციის გაცემა.

დუშეთის ოფისი

◆ დუშეთის ოფისის დახმარებით, მოსარჩელე ვ. ჩ-ის სასარგებლოდ, მოპასუხე ანანურის საკრებულოს დაეკისრა გაწეული სამშენებლო ხარჯების ანაზღაურება.

სტრატეგიული სამართალწარმოება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული საქმეები

◆ საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქმეში მოსარჩელეები მოითხოვდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობას. გასაჩივრებული ნორმები საქმის განმხილველ ***მოსამართლეს ანიჭებდა უფლებამოსილებას, სასამართლოს მიმართ აშკარა და უხეში უპატივცემლობის გამოხატვის შემთხვევაში, პირისთვის შეეფარდებინა ჯარიმა ან პატიმრობა 30 დღე-ღამემდე.*** ამასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მიღებული განკარგულება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეების მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212 მუხლის მე-6 ნაწილი (მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება დაპატიმრების შესახებ განკარგულების გასაჩივრებას).

◆ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 14 ნოემბერს არსებითად განსახილველად მიიღო საიას და ეკატერინე ლომთათიძის სარჩელი "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას უშვებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან გადაუდებელი აუცილებლობისას. გასაჩივრებული ნორმა კი, უფლებამოსილ თანამდებობის პირებს ანიჭებს შესაძლებლობას, უფლების შემზღუდავი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ჩაატარონ მოსამართლის ნებართვის გარეშე, ამასთან, იმგვარი პირობების საფუძველზე, რაც ლოგიკურად და შინაარსობრივად არ შეესაბამება გადაუდებელი აუცილებლობის ცნებას.

◆ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2006 წლის 4 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონსტიტუციო სარჩელი, სადაც გასაჩივრებული იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122-ე

მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული „საგადასახადო საიდუმლოს“ დეფინიცია და საქართველოს საგადასახადო კოდექსის საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული რამდენიმე მუხლი (39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი, 101-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი). გასაჩივრებული ნორმები კრძალავს მოქალაქეთათვის საგადასახადო ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაციის მიწოდებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც „საგადასახადო საიდუმლოებად“ კვალიფიცირებული ინფორმაცია თავისი შინაარსით არ წარმოადგენს არც სახელმწიფო, არც კომერციულ და არც პროფესიულ საიდუმლოებას, რაც, თავის მხრივ, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს.

მოქალაქეთა წარმომადგენლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდი აღინიშნა მოქალაქეთა მზარდი ინტერესით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურებთან დაკავშირებით. საიას კონსულტაციისათვის მიმართა 161-მა მოქალაქემ და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა 6 საქმე:

1. კილაძე საქართველოს წინააღმდეგ

განმცხადებლები, კლაუს და იური კილაძეები, არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლები.

1937-38 წლებში განმცხადებელთა მამა უკანონოდ იქნა მსჯავრდებული და დახვრეტილი, ხოლო დედა - გადასახლებული უკიდურეს ჩრდილოეთში. მოგვიანებით, 1957 წელს – მამის შემთხვევაში და 1956 წელს – დედის შემთხვევაში, მათ მიმართ განაჩენი გაუქმდა, საქმე შეწყდა და ისინი რეაბილიტირებულ იქნენ. ძმები კილაძეები 2 წლით ბავშვთა სახლში განათავსეს.

1998 წელს სასამართლომ განმცხადებლები, ისევე, როგორც მათი მშობლები, აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლებად. ამის შემდეგ, 2005 წელს, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ” კანონის საფუძველზე, მათ მიმართეს სასამართლოებს და მოითხოვეს კომპენსაცია. ყველა ინსტანციის სასამართლომ უარი უთხრა განმცხადებლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულის მიზეზად კი, მითითებულ იქნა შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ, კანონის შესაბამისად, მათ ეკუთვნოდათ კომპენსაცია, არ არსებობდა ცალკე კანონი, რომელიც დაარეგულირებდა კომპენსაციის გაცემის წესსა და პროცედურებს.

განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრების უფლება) და მე-13 მუხლი პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებით (უფლება ეფექტურ ზომებზე).

2006 წლის 22 თებერვალს განაცხადი აღნიშნულ საქმეზე გაიგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. 2006 წლის 27 მარტს საქმეს მიენიჭა პრიორიტეტი.

2. ალადინ მაკარიძე საქართველოს წინააღმდეგ

მომზადდა განაცხადი ე.წ. თურქი-მესხის –ალადინ მაკარიძის საქმეზე.
ალადინ მაკარიძე არის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი. მაკარიძის დედა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადასახლებულ იქნა ყირგიზეთში. ალადინ მაკარიძე დაიბადა გადასახლებაში და ცხოვრობდა ყირგიზეთში მშობლებთან ერთად. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის ბრძანებულებით, მას აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა მიმართა ახალციხის სასამართლოს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით. რაიონულმა სასამართლომ, ისევე, როგორც ზემდგომმა სასამართლოებმა, უარი უთხრეს მაკარიძეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ დედამისი გადასახლებული იყო, როგორც ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებული პირი და, შესაბამისად, ვერც მასზე და ვერც მის შვილზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად

აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ".
აღსანიშნავია, რომ მაკარიძემ, ასევე ჩვენი დახმარებით, მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოსაც და მოითხოვა ზემოაღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა თავისავე 2005 წლის 9 თებერვლის განჩინების სამოტივაციო ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, „სადავო ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე, ვინც შესაბამის პერიოდში განიცადა პოლიტიკური რეპრესია, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა".
განაცხადში ყურადღება გამახვილებულია ევროკონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური მოპყრობა), პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება), მე-13 მუხლის (ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები), მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევებზე.

3. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ

ზ. ცინცაბაძე იყო ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულების პატიმარი, რომელიც 2005 წლის 30 სექტემბერს იპოვეს ჩამომხრჩვალი. საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა, საბოლოოდ საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო, გამოძიებამ თვითმკვლელობის ფაქტი დაადგინა. საქმეზე არ ჩატარებულა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რაც აუცილებელი იყო დამნაშავის გამოსავლენად და საქმისათვის სწორი მსვლელობის მისაცემად. არ არის დადგენილი ცინცაბაძის გარდაცვალების ზუსტი დრო. არ ემთხვევა ერთმანეთს მოწმეთა ჩვენებები. საქმეში არსებობს ექსპერტიზის ორი დასკვნა, რომელიც განსხვავებულ სურათს იძლევა. საქმის წარმოების შეწყვეტის დადგენილებაში გამომძიებლის მიერ დამახინჯებულია მოწმეთა ჩვენებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ინტერპრეტირებულია იმგვარად, რომ გამართლდეს თვითმკვლელობის ვერსია. წინასწარი გამოძიების პერიოდი არასაკმარისი, ხოლო გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღების გადაწყვეტილება იყო ნაჩქარევი, რის გამოც მთელი გამოძიება იყო არაეფექტური. ყოველივე ზემოაღნიშნული ხარვეზები მიუთითებენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევაზე.

4. მარია სარი რუსეთის წინააღმდეგ

2003 წლის 14 აგვისტოს განმცხადებელმა, პენსიის დანიშვნის მოთხოვნით, რუსეთის საპენსიო ფონდს მიმართა. ფონდმა განუმარტა, რომ იმ მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს, რომლებიც მუდმივად საცხოვრებლად საქართველოში წავიდნენ, არეგულირებდა საქართველოს მთავრობასა და რუსეთის მთავრობას შორის დადებული შეთანხმება „მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიებზე", რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდმა ქალბატონ სარის უარი უთხრა პენსიის დანიშვნაზე და მიუთითა, რომ რუსეთის კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა მისი პენსიით უზრუნველყოფის საკითხზე.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დარღვეულია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი და მე-14 მუხლი (პირველ მუხლთან მიმართებით).

2006 წლის 24 ნოემბერს განაცხადი აღნიშნულ საქმეზე გაიგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.

5. ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

2006 წლის სექტემბერში დაიწყო საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან. საიამ გააკეთა საჯარო განცხადება პრესკონფერენციაზე, რომ მზად იყო, დახმარებოდა

აღნიშნულ პირებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური განაცხადების გაგზავნაში. საჯარო განცხადების შემდეგ ორგანიზაციას მომართა დაახლოებით 50-მა დეპორტირებულმა მოქალაქემ იურიდიული კონსულტაციისათვის. ორგანიზაციამ ასევე მოიპოვა სხვა დეპორტირებულთა კოორდინატები. ჩვენი იურისტები დაუკავშირდნენ და შეხვდნენ მათ. საქმეთა პერსპექტიულობის მიხედვით, შეირჩა 14 მოქალაქე, რომელთაც რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნის სამართლებრივი საფუძველი გააჩნდათ (წესრიგში ჰქონდათ ვიზა, რეგისტრაცია და ა.შ.), თუმცა, მიუხედავად ამისა, მოხდა მათი უკანონო დეპორტაცია. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ ინფორმაციის მისაღებად მიმართა სხვადასხვა უწყებასა და პიროვნებას: პრემიერ-მინისტრს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს, რუსეთის საელჩოს საქართველოში, რუსულ არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალს". მოძიებული იქნა განაცხადის წარსადგენად საჭირო მტკიცებულებები და ფაქტობრივი მონაცემები. განაცხადი წარდგენილია სტრასბურგის სასამართლოში.

6. ირაკლი კაკაბაძე,და სხვა 4 (ოთხი) საქართველოს წინააღმდეგ

2006 წლის 29 ივნისს სააპელაციო სასამართლოს ეზოში „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ მოსაზრებას ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. ისინი ხმის გამაძლიერებლის, ე.წ. მეგაფონის საშუალებით მოუწოდებდნენ სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებელ ტელეარხ „202"-ის დამფუძნებლების - შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის გათავისუფლებისაკენ (აღნიშნული პირების საქმე მოცემული დროისათვის იხილებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ). სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ სსსკ-ის 208-ე მუხლზე დაყრდნობით, ადგილზე თათბირით და ზეპირი მოსმენის გარეშე, განმცხადებლებს შეუფარდა 30 დღიანი პატიმრობა. შესაბამისად, პატიმრობის შეფარდების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არც უშუალოდ განმცხადებლებს და არც მათ ადვოკატებს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, განკარგულება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.
განმცხადებლებმა ჩვენი დახმარებით მიმართეს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს იმის გამო, რომ მათ მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის 5.1, 5.2, 5.3, 5.4, 5.5 მუხლები, 6.3 მუხლის „ც" ქვეპუნქტი, მე-10 და მე-11 მუხლები, ასევე კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი.
2006 წლის 29 დეკემბერს განაცხადი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.

თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის კუთხით სიახლეა, 2006 წლის მარტიდან საია თანამშრომლობს ბრიტანულ ორგანიზაციასთან - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC). განაცხადები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად მზადდება აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლების, ბრიტანელი პროფესორის ბილ ბოურინგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის დირექტორის, ლონდონის მეტროპოლის უნივერსიტეტის უფროსი ლექტორის ფილიპ ლიჩის უშუალო მონაწილეობითა და კონსულტაციებით. ორივე მათგანი არის ადამიანის უფლებებში სპეციალიზირებული პრაქტიკოსი ადვოკატი.

EHRAC-თან თანამშრომლობა ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს და სხვა მიმართულებებით საქმიანობებსაც ითვალისწინებს.

2006 წლის 19-20 აპრილს პროექტის ფარგლებში ჩატარდა **ტრენინგი/სემინარი თემაზე: „განაცხადთა წარდგენა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში“.** ტრენინგს ესწრებოდა 22 პრაქტიკოსი ადვოკატი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციიდან და სახაზინო ადვოკატის სამსახურიდან. ტრენინგზე განსახილველი საკითხები შეირჩა მონაწილეების მიერ წინასწარ შევსებული კითხვარების მიხედვით. სემინარი ჩაატარეს ბრიტანელმა პროფესორმა ბილ ბოურინგმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის დირექტორმა, ლონდონის მეტროპოლის ინსტიტუტის უფროსმა ლექტორმა ფილლიპ ლიჩმა. ტრენინგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი გახლავთ ის, რომ მასში მონაწილე ადვოკატებს თავისუფლად შეუძლიათ ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი პოტენციური საქმეების იდენტიფიკაცია.

2006 წლის ოქტომბერში ლონდონში განხორციელდა EHRAC-ის მიერ ორგანიზებული საადვოკატო უნარ-ჩვევათა განვითარების 2-კვირიანი ინტენსიური ტრენინგი (სპეციალიზაციით ადამიანის უფლებათა სამართალი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საიას მხრიდან ერთობლივი პროექტის კოორდინატორმა და ადვოკატმა.

პროექტის ფარგლებში **ქართულად ითარგმნა საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები,** საქმეები იურისდიქციის საკითხებზე, სტატიები ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებზე და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რამდენიმე თავი ფილიპ ლიჩის წიგნიდან **„განაცხადის წარდგენა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში“**, რომელიც ეხება განაცხადის დასაშვებობის საკითხებს. მთელი ეს მასალა ქართულ ენაზე განთავსდა საიას ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია მოქმედი იურისტებისა და სტუდენტებისთვის.

„არა! - ადამიანებით ტრეფიკინგს“

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ასოციაცია 2005 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს პროექტს „არა! - ადამიანებით ტრეფიკინგს“, რომელიც ითვალისწინებს საქმიანობას სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, იურიდიული დახმარების, ლობირების და სპეციალური განათლების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად:

კანონმდებლობის დახვეწის სფეროში:
საიას მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული სამუშაოების ყველაზე თვალსაჩინო შედეგია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მიღება, რომლითაც გათვალისწინებულია ტრეფიკინგთან ბრძოლის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, განსაზღვრულია შესაბამის სახელმწიფო უწყებათა ვალდებულებები.

1. პროექტის ცენტრალური მიმართულებაა **ანტიტრეფიკინგული სამოქმედო გეგმის განხორციელების** ხელშეწყობა. საია გახდა „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს“ წევრი და მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში, სადაც საბჭოს წევრი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი აკეთებს მოხსენებას, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რა გააკეთა საანგარიშო პერიოდში. პროექტის თანამშრომლები აგროვებენ ამ ინფორმაციას, აკეთებენ ანალიზს და შესაბამის უწყებებს უგზავნიან რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. პროექტის ფარგლებში ასოციაციის თანამშრომლები ხელს უწყობდნენ 2007-2008 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

2. პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით, საია თანამშრომლობს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებით უწყებათაშორის კომისიასთან, გენერალურ პროკურატურასთან, ანტიტრეფიკინგულ ფონდთან, სხვადასხვა სამინისტროსა და დეპარტამენტთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ადამიანებით ტრეფიკინგის საკითხებზე.

3. **ჩატარდა ტრენინგები** ტრეფიკინგთან ბრძოლასთან დაკავშირებით საკანონმდებლო სიახლეებსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე მოსამართლეებისთვის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, ქ.თბილისის აეროპორტის და სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებისათვის. ტრენინგებს ესწრებოდნენ მონაწილეები თბილისიდან, რუსთავიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან.

სულ ჩატარდა 2 ტრენინგი მოსამართლეებისთვის და 5 ტრენინგი დანარჩენი სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელთათვის. ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და ბათუმში და სულ ესწრებოდა 55 ადამიანი (34 მამაკაცი და 21 ქალი).

4. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

• ჩატარდა ანტიტრეფიკინგული პოსტერების კონკურსი მთელი საქართველოს მასშტაბით. მოეწყო გამოფენა და გამარჯვებულ ავტორებს გადაეცათ ფასიანი პრიზები და სერტიფიკატები. გამარჯვებული პოსტერები გამოყენებული იქნა პროექტის კამპანიის მსვლელობისას;

• შეიქმნა 6 ანტიტრეფიკინგული რადიო რგოლი, რომლებიც 4 თვის განმავლობაში გადაიცემოდა რადიო „იმედის“ და „საზოგადოებრივი რადიოს“ ეთერით;

• ასოციაციის დაკვეთით, ტელეკომპანია „მზე“-ზე გადაცემა „ტაბუ“ მიეძღვნა ტრეფიკინგის საკითხებს. გადაცემას ესწრებოდნენ ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის და სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის დანაშაულის სფეროში. ეს გადაცემა ორჯერ გავიდა „მზის“ ეთერში;

• მომზადდა, დაიბეჭდა და დარიგდა ბუკლეტი „არა ტრეფიკინგს!“ რომელშიც ქართულ და რუსულ ენაზე არის აღწერილი ტრეფიკინგის დანაშაული და მისი შედეგები, ჩამოთვლილია ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებები და მოვალეობები, ასევე, ის ქმედებები, რომლებიც უნდა განახორციელოს ადამიანმა, რათა არ გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი, მოყვანილია ასოციაციის და შესაბამისი უწყებების ცხელი ხაზის ნომრები, საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოების და საელჩოების საკონტაქტო ინფორმაცია, საზღვარგარეთ იმ არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც ტრეფიკინგის სფეროში მუშაობენ. ბუკლეტი დარიგდა მოსახლეობაში, დაიდგა სტენდები თბილისის აეროპორტში,ასევე,სარფის და ვალეს სასაზღვრო პუნქტებზე, სადაც განთავსდა აღნიშნული ბუკლეტები. ამას გარდა, ბუკლეტები დაურიგდა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ტრეფიკინგის სფეროში მოღვაწეობენ;

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
ფ
ტრეფიკინგი!
ყველანი
ერთად
ეს
ბიჭი
ეს
ბიჭი
ეს
ბიჭი

ხაზის ნომრებითა და ანტიტრეფიკინგული მესიჯებით. აქცია გაშუქდა ტელევიზიით;

• მომზადდა 5 სატელევიზიო ანტიტრეფიკინგული კლიპი. კლიპების საქართველოს სატელევიზიო არხებით ტრანსლაცია დაიწყო ნოემბრიდან;

• მომზადდა და დარიგდა მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის სანიშნეები ანტიტრეფიკინგული მესიჯებითა და საიას ცხელი ხაზის ნომრებით;

• საიამ გამოაცხადა სკოლის მოსწავლეთა კონკურსი ანტიტრეფიკინგულ თემაზე - რა არის ტრეფიკინგი, როგორ წარმოიშვა იგი და როგორ უნდა ვებრძოლოთ. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა. მიღებულ იქნა დაახლოებით 260 ნაშრომი. გამარჯვებული 10 მოსწავლე დაჯილდოვდა სერტიფიკატებითა და ფასიანი პრიზებით.

• საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროექტის თანამშრომლები აქტიურად თანამშრომლობდნენ პრესასთან - იბეჭდებოდა სტატიები ტრეფიკინგის სფეროს სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით, ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტები იღებდნენ ინტერვიუებს ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ.

5. **საიას იურიდიული დახმარების ცენტრის მიერ მსხვერპლთათვის სამართლებრივი მომსახურების გაწევა:** თბილისის და ბათუმის იურიდიული დახმარების ცენტრები, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უწვდენენ სამართლებრივ დახმარებას მოქალაქეებს – როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლებს, აგრეთვე, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ უცხოეთში სამუშაოდ ან სასწავლებლად გამგზავრება და სურდათ პირობების ან კონტრაქტის გადამოწმება. სამართლებრივი დახმარება გაეწია 81 ადამიანს (3 მამაკაცი და 78 ქალი).

2006 წლის სექტემბრიდან საიას ადვოკატებმა დაიცვეს ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებული დ.რ.-ს ინტერესები. ქ. თბილისის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს მიერ 2006 წლის 12 დეკემბერს აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსასჯელ მ. ჩხიკვაძეს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა თერთმეტი წლის ვადით.

2006 წლის სექტემბრიდან, საადვოკატო წარმოების წესით, აღებულ იქნა ტრეფიკინგის დანაშაულის საქმე (დაზარალებულები მ.კ. და რ.ს.). საიას ადვოკატი ჩაერთო წინასწარი გამოძიების ეტაპზე. სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით, დადგინდა ბრალდებულის სახელზე არსებული ქონება და მისი მდებარეობა. 2006 წლის 2 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

2006 წლის ოქტომბრიდან საიას ადვოკატი იცავს ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებულის ლ.ი.-ს ინტერესებს წინასწარი გამოძიების ეტაპზე.

2006 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოდან ასოციაციის სახელზე გამოიგზავნა მიმართვა იმასთან დაკავშირებით, რომ საიას ადვოკატს გაეწია საადვოკატო მომსახურება ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებულების ქ.ბ. და ო.ს.-სათვის. სასამართლო პროცესი ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში დეკემბერში დაიწყო.

2006 წლის დეკემბრიდან საიას ადვოკატი იცავს ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებულის ჯ.ი.-ს ინტერესებს წინასწარი გამოძიების ეტაპზე. დაზარალებული გადაყვანილი იქნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა თავშესაფარში.

6. **მსხვერპლთა დაცვის სერვისის გაუმჯობესება:**

• შეიქმნა ცხელი ხაზი ქ. ბათუმში ტრეფიკინგის სფეროში კონსულტაციის მისაღებად. ცხელ ხაზზე დარეკვა საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან უფასოა;

• მსხვერპლთა და დაზარალებულთა თავშესაფარი აღიჭურვა პერსონალითა და ტექნიკით; შეიქმნა თავშესაფრის შინაგანაწესი და სხვა შესაბამისი დოკუმენტები.

7. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ასევე ტრეფიკინგის საქმეთა მონიტორინგი – ძირითადად სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვნა და დამუშავება, ტრეფიკინგის შემთხვევათა გამოძიების მიმართულებით სახელმწიფო საქმიანობის შესაფასებლად.

ოჯახური ძალადობა – პრევენცია

ოჯახური ძალადობის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ორი პროექტი ABA/CEELI-სა და WORLD LEARNING-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტები ითვალისწინებდა ოჯახური ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სახელმწიფოს დონეზე პოლიტიკის ცვლილებების ლობირებას და ადვოკატირებას, ასევე, ოჯახური კონფლიქტების საქმეებზე მონიტორინგს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სხვადასხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, **პროექტის ფარგლებში მოამზადა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმა.** ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით, აღნიშნულ გეგმას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მასში დაწვრილებით არის გაწერილი ის ვალდებულებები, რომლებიც კონკრეტული მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ სამთავრობო ორგანიზაციას ეკისრება. კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ თანახმად, მთავრობამ სამოქმედო გეგმა უნდა დაამტკიცოს კანონის გამოქვეყნებიდან 4 თვის ვადაში.

პროექტის მთავარი მიღწევა იყო კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საბოლოო სახით მომზადება და პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 მაისს ამ კანონის მიღება. ასევე, კანონიდან გამომდინარე, 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის მომზადება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა **ოჯახურ კონფლიქტებზე წარმოებული საქმეების მონიტორინგი** როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში. ჩვენი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფო დაწესებულებებმა სტატისტიკური მონაცემები მოგვაწოდეს. მონიტორინგი განხორციელდა კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მიღებამდე, როცა კანონმდებლობაში არ არსებობდა ოჯახური ძალადობის დეფინიცია, შესაბამისად, არ ხდებოდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოჯახურ ძალადობაზე ცალკე სტატისტიკის წარმოება და, როგორც მოსალოდნელი იყო, მონიტორინგის შედეგებმა, სტატისტიკური მონაცემების სიმწირის გამო, რეალური სურათი ვერ წარმოადგინა. აღნიშნული მონიტორინგის შედეგები გამოიცა ლიფლეტის სახით და გავრცელდა შეხვედრებზე.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ტრენინგ-მოდული, რომელიც მოსამართლეებთან მრგვალი მაგიდებისა და ტრენინგების დროს გამოიყენებოდა. ჩატარდა 3 ტრენინგი მოსამართლეებისათვის (ქუთაისი, გორი, თბილისი), 2 მრგვალი მაგიდა მოსამართლეებთან (თბილისი, ქუთაისი) და 4 სამუშაო შეხვედრა (არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პარლამენტის წევრების მონაწილეობით).

მრგვალ მაგიდებზე ხდებოდა კანონპროექტის - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა, შენიშვნების გაზიარება და წინადადებების მიღება.

მომზადდა და გამოიცა პუბლიკაცია „ოჯახური ძალადობა“, რომელშიც განხილულია ოჯახური ძალადობა, როგორც პრობლემა და მოცემულია სხვა ქვეყნების გამოცდილება. სახელმძღვანელო აიწყო და დაკაბადონდა WORLD LEARNING-ის პროექტის ფარგლებში, ხოლო დაიბეჭდა ABA/CEELI-ის ფინანსური მხარდაჭერით 500 ეგზემპლარად.

სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ ჩატარდა 10 თითოდღიანი ტრენინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კერძოდ, თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში. ტრენინგების წარმატებულად ჩატარებისათვის მომზადდა სპეციალური ტრენინგ-მოდული, სადაც გათვალისწინებული იყო ყველა ის საკითხი, რომელიც გამომდინარეობს ოჯახური ძალადობის ბუნებიდან.

პროექტის ფარგლებში, **ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს ვუწევდით იურიდიულ დახმარებას,** რაც გულისხმობს როგორც უფასო იურიდიულ კონსულტაციას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო წარმომადგენლობას.

ოჯახური ძალადობის თემაზე ჩატარდა 6 ტრენინგი ჟურნალისტებისათვის (104 ჟურნალისტი). ტრენინგების შემდეგ ჟურნალისტებმა არაერთი სტატია თუ გადაცემა მიუძღვნეს ოჯახური ძალადობის საკითხებს. დაიწყო ხმამაღალი საუბრები პრობლემის გარშემო. აღნიშნული პროექტის მიზანიც სწორედ ეს იყო.

ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობა

საანგარიშო პერიოდში საიას საქმიანობა ანტიკორუფციული მიმართულებით, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის უზრუნველსაყოფად, რამდენიმე პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა. წარმოგიდგენთ ჩვენს მიღწევებს ამ პროექტების ფარგლებში.

არჩევნების მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაფუძნებიდან დღემდე აქტიურად არის ჩართული საქართველოში სხვადასხვა დონის არჩევნების მონიტორინგის პროცესში. 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნების დროს საიას შეზღუდული სადამკვირვებლო მისია განხორციელდა **ორი პროექტის ფარგლებში: „ადგილობრივი არჩევნები საქართველოში: სამართლიანი თამაში“ და „2006 წლის ადგილობრივი არჩევნების დღის დაკვირვება“**

ადგილობრივი არჩევნები საქართველოში: სამართლიანი თამაში

პროექტის დონორი: ‘‘ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის’’ (National Endowment for democracy). პროექტის განხორციელება დაიწყო 2006 წლის სექტემბრიდან.

პროექტი ხორციელდებოდა ქ. თბილისსა და იმ რეგიონულ ცენტრებში, სადაც ასოციაციას ოფისები აქვს: თელავი, რუსთავი, დუშეთი, გორი, ოზურგეთი, ქუთაისი, ბათუმი.

პროექტის მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა და წინასაარჩევნო კამპანიის გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ამ მიზნების მისაღწევად საქმიანობები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:

- ***ტრენინგები ჟურნალისტებისათვის***

  პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 ტრენინგი ჟურნალისტებისათვის თბილისსა და რეგიონებში. მონაწილეები გახლდნენ ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები. ტრენინგის პროგრამა ითვალისწინებდა საკითხებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე, უშუალოდ საარჩევნო პროცედურების შესახებ, მათ შორის, საკითხებს ჟურნალისტების უფლებებთან დაკავშირებით. ტრენინგების ყველა მონაწილეს მიეწოდა ინფორმაცია ასოციაციის რეგიონული ოფისების შესახებ, არჩევნების პერიოდში იურიდიული კონსულტაციების მიღების მიზნით.

- ***წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი***

  თბილისის მონიტორინგის ჯგუფში შედიოდნენ მედია-მონიტორები, რომლებიც ცენტრალური ოფისიდან ახორციელებდნენ დაკვირვებას ცენტრალურ და რიგ რეგიონულ მედია-საშუალებაზე. ამავე დროს, დედაქალაქში პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხასიათის საგიტაციო შეხვედრებზე ხორციელდებოდა დაკვირვება ადგილებზე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში.

  საიამ განახორციელა წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი საქართველოს შვიდ რეგიონულ ცენტრში: თელავი, დუშეთი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი და ბათუმი. რეგიონულ ოფისებში იურისტების მიერ განხორციელდა დაკვირვება როგორც ადგილობრივ მედიაში გასულ ინფორმაციაზე, ასევე ადგილებზე სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტისა და თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, რომლებსაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი საგიტაციო ხასიათი ჰქონდა. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის შედეგად მომზადდა სპეციალური ანგარიში, რომელიც დაეგზავნა საარჩევნო ადმინისტრაციას, პოლიტიკურ სუბიექტებს, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ანგარიშმა მოიცვა შემდეგი საკითხები:

• თანამშრომლობა ადგილობრივ საარჩევნო ადმინისტრაციასთან, პოლიტიკურ სუბიექტებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან;
• საარჩევნო აგიტაციისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხა და საარჩევნო ღონისძიებების განრიგი;
• ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეთა მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში;
• ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება;
• ამომრჩევლის „ფინანსური/მატერიალური დაინტერესების“ („მოსყიდვის“) შესაძლო ფაქტები;
• წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა;
• დარღვევები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აგიტაციის დროს.

ზეწოლა/დაშინება საიას თანამშრომლის მიმართ - 20 სექტემბერს საიას რუსთავის ოფისის თანამშრომელი ***ლელა ბექაური***, რომელიც ჩართული იყო რეგიონში წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგში, შეესწრო ფაქტს, როდესაც ადგილობრივ არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატის ლეილა აფციაურის საარჩევნო შტაბში ამ კანდიდატის წარმომადგენლები ეწეოდნენ ამომრჩევლის ფინანსურ დაინტერესებას ელ-ენერგიაზე უფასო დახმარების ვაუჩერის გაცემის საშუალებით და ამ დახმარებას მიაწერდნენ ლეილა აფციაურის წინასაარჩევნო სახსრებიდან დაფინანსებას. 21 სექტემბერს საიას რუსთავის ოფისში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე აღნიშნული დარღვევა გაახმოვანა მონიტორინგის ჯგუფის წევრმა ლელა ბექაურმა. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნებულ ლელა ბექაურს დაურეკეს ტელეფონზე და ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ. ამის თაობაზე ეცნობა ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოძიება მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო მხოლოდ 2006 წლის 20 ოქტომბერს.

სოციალური რეკლამები

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, მომზადებულ იქნა **სოციალური კლიპი, რომელიც შეეხებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს საჯარო მოხელეთა მიერ აგიტაციაში მონაწილეობის შეზღუდვებს და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვას.** სოციალური რეკლამის ტრანსლაცია მოხდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის საშუალებით.
წინასაარჩევნო პერიოდში აგრეთვე მომზადებულ იქნა **სპეციალური სოციალური კლიპი,** რომელშიც მითითებული იყო საიას ოფისებში არჩევნების პერიოდში გახსნილი ცხელი ხაზის ნომრები და რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობას, დარღვევების დაფიქსირების ან იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზნით, ესარგებლათ აღნიშნული ნომრებით.

საარჩევნო კანონმდებლობის ანალიზი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცსკ-ს) საქმიანობის მონიტორინგი

• პროექტის ფარგლებში დაიწყო საარჩევნო კანონმდებლობის ანალიზის განხორციელება, რომლის მიზანია კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

• წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საიას მიერ წარმოებულ იქნა რამდენიმე სასამართლო დავა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით.

• საიას ინიციატივით ცსკ-ს მიერ გამოცემულ იქნა სპეციალური დადგენილება (№ 37/2006), რომელმაც დაარეგულირა სპეციალური პროცედურა იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამართალწარმოება

საიამ სასამართლოს მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2006 წლის 11 სექტემბრის №32 განკარგულების – „ცალკეული საარჩევნო პროცედურების განსაზღვრა 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებით“ – ნაწილობრივ გაუქმების მოთხოვნით. საია ითხოვდა აღნიშნული განკარგულების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლის თანახმად, მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი გამოცემული იყო ცესკოს თავმჯდომარის რეზოლუციის სახით. ეს მოთხოვნა საარჩევნო კოდექსს ეფუძნებოდა, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აქვს უფლება, გამოსცეს ასეთი რეზოლუცია. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 15 სექტემბერს განიხილა საქმე და მოთხოვნა დააკმაყოფილა. ცესკომ მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში აღარ გაასაჩივრა.

საიამ ასევე სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ცესკოს 2006 წლის 14 სექტემბრის №200 განკარგულების ნაწილობრივ გაუქმება, რომლის საფუძველზეც, მოხდა ეროვნული იდეოლოგიის პარტიისა და ნაციონალური მოძრაობის სიების რეგისტრაცია. საიას მოთხოვნის საფუძველი ამ სიების უკანონო რეგისტრაცია გახლდათ. სადავო სიებში შესული იყვნენ ის პიროვნებები, რომლებიც, საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მოთხოვნის მიუხედავად, არ იყვნენ ნომინირებულნი მაჟორიტარ კანდიდატებად არც ერთ საარჩევნო ოლქში. საია აცხადებდა, რომ ცესკოს ეს განკარგულება ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის 126.3 მუხლს, რომლის თანახმადაც, „პარტიული სიები დაკომპლექტებული უნდა იყოს მაჟორიტარული არჩევნებისათვის წარდგენილი კანდიდატებით“. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი. საიამ გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და საქმე საქალაქო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა. 2006 წლის 24 სექტემბერს საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა და არ დააკმაყოფილა სარჩელი.

საიამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2006 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. 2006 წლის 12 ოქტომბერს საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი პრეზიდენტის 2006 წლის 20 ოქტომბრის №592 განკარგულების – „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს პირველის სხდომის თბილისში, ბათუმსა და რუსთავში მოწვევის შესახებ“ – ნაწილობრივ გაუქმების მოთხოვნით. საიას მოთხოვნის საფუძველი იყო საკრებულოს სხდომის მოწვევა მანამ, სანამ საარჩევნო სუბიექტები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით ანგარიშებს წარუდგენდნენ. ამ ანგარიშების წარმოუდგენლობას კი, მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებამდე მივყავართ. კერძოდ, თუ საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც ხმათა სათანადო რაოდენობას მიიღებენ, არ წარმოადგენენ საარჩევნო კამპანიის ანგარიშებს ან დაარღვევენ კანონის ცალკეულ დებულებებს, შესაბამისი სასამართლო მიიღებს არჩევნების შედეგების დათვლის შესახებ გადაწყვეტილებას სადავო საარჩევნო სუბიექტის მიერ რეალურად მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად. ამის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ეს განკარგულება საარჩევნო შედეგების დათვლიდან შვიდი დღის შემდეგ, როცა შესაბამისი ანგარიშები ჯერ წარდგენილი არ იყო. სამწუხაროდ, 20 ოქტომბერს სასამართლომ სარჩელი დასაშვებად არ ცნო, ამის შედეგად, საკრებულოს პირველი სხდომა შედგა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოც შეუდგა თავისი ფუნქციების შესრულებას.

2006 წლის ადგილობრივი არჩევნების დღის დაკვირვება

საიას მიერ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების კენჭისყრის დღის შეზღუდული სადამკვირვებლო მისია განხორციელდა ქ. თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

დონორები: გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და ჰოლანდიის საელჩოები და ევროპის კავშირი.

2006 წლის ადგილობრივი არჩევნების დაკვირვების მისია განხორციელდა რამდენიმე ფორმით: 1. უშუალოდ საარჩევნო პროცედურის დაკვირვება საარჩევნო უბანზე (თბილისი – 80 უბანი, ბათუმი – 28 უბანი); 2. საარჩევნო ოლქების მიხედვით; 3. საარჩევნო უბანთა უმრავლესობის დაკვირვება **მობილური ჯგუფების** საშუალებით. საიას დამკვირვებლები მივლენილი ჰყავდა საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში,სადაც ისინი აკვირდებოდნენ სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს და გასცემდნენ სამართლებრივ კონსულტაციებს.

საიას თბილისის სადამკვირვებლო მისიაში მონაწილეობას იღებდა 115 დამკვირვებელი. მათ შორის იყვნენ დამკვირვებლები საოლქო საარჩევნო კომისიაში, სამ-სამი დამკვირვებელი მობილურ ჯგუფებში (ჯამში ათი მობილური ჯგუფი) და დამკვირვებლები საარჩევნო უბნებში. საიას მივლენილი ჰყავდა ბათუმში 46, ხოლო ქუთაისში 8 დამკვირვებელი.
საიას თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ოფისში, კენჭისყრის დღის განმავლობაში, გახსნილ იქნა ცხელი ხაზი, რომლის საშუალებით გაიცა 180-ზე მეტი კონსულტაცია.
კენჭისყრის დღის განმავლობაში საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწყობილ იქნა ხუთი ბრიფინგი (11:00, 14:00, 17:00, 20:00 და 23:00 საათზე). მედიის წარმომადგენლებს პერიოდულად მიეწოდათ ინფორმაცია დაკვირვების შედეგების, მათ შორის, დაფიქსირებული დარღვევების შესახებ.

დაკვირვების შედეგად, საიას დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, მიცემულ იქნა ზეპირი მითითებები. საარჩევნო დარღვევებზე ზეპირი მითითებების რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, საიას დამკვირვებლების მიერ მომზადებული და წარდგენილ იქნა წერილობითი საჩივრები. შესაბამისად, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში წარდგენილ იქნა 86 წერილობითი საჩივარი.

სადამკვირვებლო მისიის შედეგად მომზადებულ იქნა სპეციალური ანგარიში, რომელიც მიეწოდა საარჩევნო ადმინისტრაციას, პოლიტიკურ სუბიექტებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

სადამკვირვებლო მისიის 180 წარმომადგენლისთვის, საიას სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, სექტემბერში ჩატარდა ოთხი ორდღიანი სემინარი ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის მასშტაბით.

ფინანსური გამჭვირვალობა და საჯარო დაწესებულებების ანტიკორუფციული მონიტორინგი

2006 წელს, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. პროექტის საკმაოდ ამბიციური განაცხადი სწორედ ამ „ცვლილებებში“ მონაწილეობას უკავშირდებოდა. პროექტის ფარგლებში 2005 წელს დაწყებული კამპანია „საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ“ წარმატებით გაგრძელდა 2006 წელსაც და გამოიცა უკვე მეხუთე ანტიკორუფციული ანგარიში საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების ხარჯვის შესახებ. საქართველოს მედია უკვე დამოუკიდებლად აგრძელებს ამ საკითხის გაშუქებას და შეიძლება თამამად ითქვას,რომ კამპანიამ ხელი შეუწყო მთლიანად ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვაზე აქტიური საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი დისკუსიის დაწყებას.

პროექტის მეშვეობით, 2006 წელს, საიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებებში ღიაობის კულტურის დანერგვაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ, საია ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, რამაც გამოიწვია ტრადიციული, ინფორმაციის თავისუფლების ცხოვრებაში დანერგვაზე ორიენტირებული საქმიანობებიდან აქცენტის გადასვლა ანტიკორუფციულ მონიტორინგზე. პროექტი მიზნად ისახავდა:

- გამჭვირვალე, ეფექტური და ანგარიშვალდებული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების ხელშეწყობას;
- საზოგადოების „ცოდნის უფლების“ უზრუნველყოფას და მისი ინფორმირებული მონაწილეობის ხელშეწყობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ინფორმაციის თავისუფლების ინსტრუმენტის გამოყენებით, საჯარო დაწესებულებების ფინანსური გამჭვირვალობის გაზრდას.

2006 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

1. ინფორმაციის თავისუფლების ცხოვრებაში დანერგვა სტრატეგიული სამართალწარმოებისა და სასამართლო პრაქტიკის მონიტორინგის გზით

◆ ადმინისტრაციული საჩივრის სახით სტრატეგიული სამართალწარმოება განხორციელდა 13 საქმეზე. მათგან:

- სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 6;
- არ დაკმაყოფილდა - 5;
- არ იქნა განხილული - 2.



◆ საერთო სასამართლოებში შეტანილ იქნა 15 სარჩელი. მათგან:

- სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 6;
- არ დაკმაყოფილდა - 7;
- დაუშვებლად იქნა ცნობილი - 2.



◆ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაციის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სამი სარჩელი.

◆ 2006 წელს გაგზავნილ იქნა სულ 328 განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე.
მათგან:

- სრულად დაკმაყოფილდა - 193 განცხადება;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 67;
- კანონით დადგენილი ვადის დაცვით დაკმაყოფილდა - 165;
- კანონით დადგენილი ვადის დარღვევით დაკმაყოფილდა - 95;
- არ დაკმაყოფილდა - 68.



პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 2006 წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული პროცედურების გამოყენების საკითხი. საჯარო დაწესებულებებმა სწორედ ჩვენი საჩივრების მეშვეობით დაამკვიდრეს ადმინისტრაციულ საჩივრებზე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების პრეცედენტები.

2. ანტიკორუფციული კამპანია „საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ“

- პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების ხარჯვის მონიტორინგი;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფინანსური მონიტორინგი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორების ფინანსური მონიტორინგი;
- მსხვილი პრივატიზაციების მონიტორინგი;
- მაკონტროლებელი ორგანოების მონიტორინგი;
- საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასება.

3. საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება და რეკომენდაციების შემუშავება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ინფორმაციის თავისუფლების ანგარიშების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა. პროექტის ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საჯარო დაწესებულებებისათვის მათივე თხოვნის საფუძველზე ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრამ – „როგორ დავწეროთ 10 დეკემბრის ანგარიში“ – შესაბამისი შედეგი გამოიღო.

4. კამპანია ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლებად აღიარებასთან დაკავშირებით

ინფორმაციის მიღების უფლების საერთაშორისო დღე - 28 სექტემბერი – ყოველწლიურად აღინიშნება მთელ მსოფლიოში. 2006 წელს საიამ ეს დღე საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად აღნიშნა.
2006 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხითაც, რომ ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ საერთაშორისო პრაქტიკაში პირველი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც ინფორმაციის მიღების უფლება ძირითად უფლებად აღიარა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საიამ სტატიათა კონკურსი ჩაატარა, რითაც ხელი შეუწყო ამ გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის განხორციელების სამართლებრივი მონიტორინგი

პროგრამა ხორციელდება Oxfam N(o)vib-ის ფინანსური მხარდაჭერით.

პროგრამის ფარგლებში საქმიანობები მიმდინარეობდა ბთჯ ნავთობსადენით გადაკვეთილ შვიდივე რაიონში, კერძოდ, ***საია აქტიურად მუშაობდა მარნეულის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალციხის რაიონებსა და ქ. რუსთავში.***

პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს „საუკუნის პროექტის“ განხორციელების ფარგლებში დაზარალებული

მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა. ასევე ხორციელდება საქმიანობები სხვა სპეციფიკური მიმართულებებით.

საქმიანობა მიმდინარეობდა პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული 4 (ოთხი) ძირითადი მიმართულებით. კერძოდ:

- **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის გამო დაზარალებული მიწის მესაკუთრეების/ მოსარგებლეებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა;**
- **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისა და ოპერირების პროცესში დასაქმებული მუშების კანონით გარანტირებული უფლებების დაცვა;**
- **„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის“ მონიტორინგი;**
- **ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ მილსადენის პროექტებისათვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტების და ოპერირების დაფინანსების მონიტორინგი.**

დამოუკიდებელი პროექტის სახით იქნა გამოყოფილი
პროგრამის მეხუთე მიმართულება – ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ საქართველოს მთავრობასთან შექმნილი ***„40 მილიონიანი საგრანტო პროგრამის“*** მონიტორინგი.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის განხორციელების სამართლებრივი მონიტორინგის პროგრამის“ ფარგლებში სამართლებრივი დახმარება გაეწია ***200-მდე*** მიწის მესაკუთრე/მოსარგებლეს, ასევე, კონსულტაცია გაეწია მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებულ ***90*** მუშას.

პროგრამის ფარგლებში რეგიონებში ორგანიზებული იქნა 4 სემინარი. 2 სემინარი დაეთმო მიწის მესაკუთრეთა უფლებებს ბთჯ მილსადენის კომპანიასთან ურთიერთობის ფარგლებში, ხოლო 2 სემინარზე განხილული იქნა მილსადენის ოპერირების პროცესში დასაქმებული მუშების შრომითი უფლებები. დარიგებული იქნა სასემინარო მასალები.

პროგრამის წარმატებულად განხორციელების შედეგად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ მიწის მესაკუთრეებისათვის, დამატებითი კომპენსაციის სახით, გაიცა 10 000 ლარი.

პროექტის ფარგლებში, ბთჯ მილსადენით გადაკვეთილ რაიონებში განხორციელდა 15 გასვლა.

წარმატებით იქნა დასრულებული საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენის აპარატში, ქ. ვაშინგტონში, ბთჯ მილსადენის თემაზე გაგზავნილი 2 საქმე. მილსადენის კომპანიამ დაზარალებულ მიწის მესაკუთრეებს გადაუხადა შესაბამისი მოსავლის კომპენსაცია. ერთი საქმე კვლავ წარმოებაშია.

პროგრამის ფარგლებში, მიწის საკითხების მოგვარების მიზნით, ხდებოდა ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ შემუშავებული „გასაჩივრების მექანიზმის“ გამოყენება. დაიწერა და მსვლელობა მიეცა 25 საქმეს. წარმატებით დასრულდა 20 საქმე. ბთჯ მილსადენის კომპანიამ უზრუნველყო ***სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანებულ მიწის ნაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.***

სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინა ბთჯ მილსადენის

კომპანიას მის მიერ მომზადებულ „სარგებლობისა“ და „სერვიტუტის“ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ხელშეკრულებები კომპანიის მიერ გამოიყენება სამშენებლო დერეფანში მდებარე მიწის ნაკვეთების ყოფილი მესაკუთრეებისათვის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით დაბრუნების პროცესის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასრულებულ იქნა ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის წმინდა გიორგის სახელობის X საუკუნის ეკლესიის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ეკლესიაში აღდგა საღვთისმსახურებო საქმიანობა. ბთჯ მილსადენის კომპანიამ ეკლესიის, რომელიც მილსადენის დერეფნიდან 55 მეტრის დაშორებით მდებარეობს, სარეკონსტრუქციო სამუშაოები დააფინანსა საიას მიერ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის“ წარმატებული მონიტორინგის შედეგად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გაგრძელდა გასული წლის აქტივობა, რაც გამოიხატა ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის, მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ***ყოველწლიურად გამოყოფილი ერთი მილიონი დოლარის მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგით.*** მოძიებულ იქნა დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო დაცვის სამსახურის მიერ ამ ერთი მილიონი დოლარის ათვისების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესებულ იქნა ქსელური თანამშრომლობის ხარისხი მილსადენის თემაზე მომუშავე თურქულ და აზერბაიჯანულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა

პროექტი ხორციელდებოდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოსა“ და Oxfam N(o)vib-ის ფინანსური მხარდაჭერით, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის ***„საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“*** ფარგლებში.

პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მხრიდან გრანტის სახით მიღებული 40 მილიონი აშშ დოლარის მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგი. პროგრამის მიზნებს ასევე განეკუთვნებოდა:

- საგრანტო რესურსების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილების კონტროლი საგრანტო პროგრამით დაფინანსებულ სფეროებზე;
- ხელისუფლების მხრიდან ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა საგრანტო პროგრამის შესრულებისა და მისი მიზნობრივად ხარჯვის შესახებ.

პროგრამის ფარგლებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის 40 მილიონიანი საგრანტო პროგრამის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა ინფორმაციის გამოთხოვნა შესაბამისი საჯარო დაწესებულებებიდან.

მიღებულ ინფორმაციას უტარდებოდა სიღრმისეული და დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც, განისაზღვრებოდა იმ საჯარო დაწესებულებების და სფეროების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებდა პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივ მონიტორინგს საგრანტო თანხების მიზნობრიობისა და ხარჯვის პროცედურებთან მიმართებით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 10 ვიზიტი უშუალოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაკვეთილ ე.წ. „დაზარალებულ რეგიონებში". ვიზიტების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ 40 მილიონიანი საგრანტო თანხების რეგიონებში ხარჯვის ადგილზე გადამოწმება და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის შემოწმება.

სიღრმისეულად იქნა დამუშავებული საგრანტო თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა 5 შეხვედრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სახაზინო სამსახურის წარმომადგენლებთან.
მომზადებული იქნა 2 საექსპერტო-ეკონომიკური დასკვნა. დასკვნების შინაარსი ეხება საგრანტო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხების ხარჯვის პროცესის ფინანსურ დარღვევებს და თავად საგრანტო ხელშეკრულების პირობების დარღვევას გრანტის მიმღების – საქართველოს მთავრობის მხრიდან.
პროგრამის ფარგლებში ასევე მომზადდა მესამე საექსპერტო დასკვნა, რომელიც ასახავს საქართველოში საგრანტო თანხების ხარჯვის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის პრობლემატურ საკითხებს. მასში განხილულია სამინისტროების მიერ გრანტების ხარჯვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა" წარმატებულად განხორციელების შედეგად:

- 2006 წლის 20 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა განკარგულება №354. განკარგულების საფუძველზე,გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. განკარგულების გამოცემამდე არ იყო გაწერილი 40 მილიონიანი გრანტის თანხების მიმღები კონკრეტული სამინისტრო, რაც განაპირობებდა თანხების ქაოტურ და არასისტემურ ხარჯვას;
- 2006 წლის 26 ივლისს საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას შორის გაფორმდა ახალი, ჩასწორებული საგრანტო ხელშეკრულება. საგრანტო ხელშეკრულებაში განხორციელებულ ცვლილებებს საფუძვლად დაედო მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები.
- ***2006 წლის განმავლობაში, საგრანტო თანხების ხარჯვის მიმართულებები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საგრანტო ხელშეკრულების მიზნებთან.***

პროგრამის ფარგლებში მომზადებული და გამოცემული იქნა ანგარიში – „საუკუნის პროექტი და 40 მილიონიანი გრანტის ხარჯვის მონიტორინგი". ფართო საზოგადოების წინაშე ანგარიშის წარდგენა განხორციელდა 2006 წლის 19 დეკემბერს.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა“ პროგრამის ფარგლებში მომზადებულ იქნა 4 სატელევიზიო, 3 რადიო სიუჟეტი და 3 საგაზეთო სტატია.

პროგრამა ხორციელდებოდა ***„საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“*** საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის ფარგლებში. კოალიციის დამფუძნებელი ორგანიზაციები არიან:

1. **ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“;**
2. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;**
3. **საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;**
4. **საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო;**
5. **ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.**

პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში (PEPSI)

2005 წლის 1 ივნისიდან 2006 წლის 30 აპრილის ჩათვლით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ევრაზიის ფონდისა და ბრიტანეთის მთავრობის (გლობალური კონფლიქტის პრევენციის ფონდი) მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში“ (შემდგომში – პროექტი).

პროექტის საერთო მიზანს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონებში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი და კახეთი), საზოგადოების მონაწილეობით, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთა ადმინისტრაციებისა და ფონდების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ეფექტური ადგილობრივი მმართველობის ჩამოსაყალიბებლად. ამ თვალსაზრისით, პროექტის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს შესაბამის რეგიონებში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სფეროში კორუფციასთან დაკავშირებით არსებული ობიექტური და კონკრეტული სურათის შექმნა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ლიდერების კონსოლიდირება კორუფციის წინააღმდეგ, პრეზიდენტის რწმუნებულთა და მათი ადმინისტრაციების ანგარიშვალდებულების გაძლიერება, ადგილობრივი მმართველობისა და ტერიტორიული ადმინისტრირების სათანადო სისტემის განვითარებისათვის ხელშეწყობა.
პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა სამუშაო შეხვედრები და სემინარ-ტრენინგები იმ თემებსა და საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პრეზიდენტის რწმუნებულის საქმიანობას, აგრეთვე, გამოქვეყნებულ იქნა საგაზეთო პუბლიკაციები პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გავრცელდა რწმუნებულების საქმიანობის ამსახველი რამდენიმე სიუჟეტი, რამაც ხელი შეუწყო განვლილ პერიოდში პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგად მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანას.

რიგ შემთხვევაში, პროექტის თანამშრომლები აწყდებოდნენ გარკვეულ პრობლემებს, რაც ძირითადად ასახვას

ჰპოვებდა პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და ფონდების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის დაყოვნებაში. მაგალითად,სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატიდან გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოწოდებულ იქნა განცხადების წარდგენიდან ორი თვის შემდეგ, ხოლო შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატმა, კანონის სრული იგნორირებით, საერთოდ თავი აარიდა ინფორმაციის გაცემას. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის გადალახვის ერთადერთ საშუალებას სასამართლოსათვის მიმართვა წარმოადგენდა, რაც რეალიზებულ იქნა კიდეც.

მონიტორინგის მიზნით მოპოვებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გამოვლინდა,რომ რწმუნებულების ფონდების მხრიდან ფინანსური სახსრების განკარგვა, უმეტეს შემთხვევაში, არ ემსახურება რეგიონულ და თვითმმართველობის განვითარებას,რასაც კანონმდებლობა (საქართველოს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის შექმნის შესახებ“) დაფინანსების ძირითად ობიექტად ითვალისწინებდა. კანონდარღვევების აღმოფხვრის მიზნით, პროექტის მიმდინარეობისას რამდენჯერმე იქნა ორგანიზებული ტრენინგ-სემინარი, მოეწყო პრესკონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების ფონდები, რომლებიც არსებობდნენ, გაურკვეველი სტატუსის მქონე დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ **საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 30 ივნისს მიღებული კანონის თანახმად, 2006 წლის 1 იანვრიდან რწმუნებულის ფონდები ლიკვიდირებულია.**

პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოს ექვს რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტთან მიმართებით გამოიკვეთა კორუფციასთან დაკავშირებული ობიექტური და კონკრეტული სურათი. შესაბამის რეგიონებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ლიდერების კონსოლიდირება კორუფციის წინააღმდეგ.

ალტერნატიული ანგარიშები, პარტიების დაფინანსების მონიტორინგი, „სამართლიანი თამაში“

„საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში, ევრო კავშირის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა რიგი საქმიანობებისა, რაც მმართველობის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ხელშეწყობას ემსახურება.

ალტერნატიული ანგარიშები გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტში (CAT) და გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აკრძალვის კომიტეტში (CEDAW)

პროექტის ფარგლებში საიამ სხვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად – ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი – მოამზადა ალტერნატიული ანგარიში საქართველოში წამების აკრძალვის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტში წარსადგენად. ალტერნატიული ანგარიშის მომზადებას და კომიტეტში წარდგენას ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT). 2006 წლის 2-4 მაისს პროექტის იურისტი სტრატეგიული სამართალწარმოების დარგში სოფიო ჯაფარიძე იმყოფებოდა ჟენევაში, წამების საწინააღმდეგო კომიტეტში, **ალტერნატიული ანგარიშის** წარსადგენად. შედგა შეხვედრები ადამიანის უფლებათა ექსპერტებთან და **ბრიფინგი – მედიასთან.** რეკომენდაციები, რომლებიც ასახული იყო ალტერნატიულ ანგარიშში, სრულად გაიზიარა კომიტეტმა. ამას ადასტურებს **კომიტეტის მიერ 19 მაისს საქართველოს სახელმწიფოსთვის წარდგენილი რეკომენდაციები.** საიამ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციები და მისი მონაწილეობით მომზადებული ალტერნატიული ანგარიში მაისშივე წარუდგინა საზოგადოებას. მედია-საშუალებებმა ფართოდ გააშუქეს ეს მოვლენა. სექტემბრის თვეში შედგა ორი შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებთან. ამ უკანასკნელთ წარედგინათ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით სამოქალაქო საზოგადოების მიერ შემუშავებული დეკლარაცია საქართველოში წამების აკრძალვის პრობლემებთან ბრძოლის შესახებ.

2006 წლის აგვისტოში საიამ და წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციამ (OMCT) წარადგინეს ერთობლივი ალტერნატიული ანგარიში გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აკრძალვის კომიტეტში (CEDAW).

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის პირველი ეტაპი. ინფორმაცია მოძიებულ იქნა იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებიდან, ცესკოდან და თვით პოლიტიკური პარტიებისგანაც. მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში ასახულია როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა, ისე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რაც მიუთითებს ამ სფეროში სახელმწიფო კონტროლის სისუსტესა და გაუმართაობაზე. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მონიტორინგი გაგრძელდება მომდევნო წელს და დასრულდება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ რეკომენდაციების მომზადებით.

მონაცემთა ბაზა „სამართლიანი თამაში“. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და შეიქმნა ყველასათვის ხელმისაწვდომი საძიებო ბაზა, რომელიც შეიცავს საიას მიერ მოპოვებულ საჯარო ინფორმაციას პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტთა კამპანიის ფონდების შემომწირველთა, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე, სხვა ინფორმაციას, რაც ხელს შეუწყობს მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ეს საძიებო მონაცემთა ბაზა იქნება სლოვაკური საძიებო ბაზის “Fair Play” (სამართლიანი თამაში) ანალოგი, რომელიც შექმნა სლოვაკურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ალიანსი სამართლიანი თამაშისათვის“. 2006 წლის სექტემბერში განხორციელდა მოკლევადიანი სასწავლო ტური ამ ორგანიზაციის გამოცდილებისა და პროგრამის მართვის შესასწავლად.

თანამშრომლობა სახელმწიფო ორგანოებთან, საკონსულტაციო/მონიტორინგის საბჭოებსა და კომისიებში მონაწილეობით

2006 წლის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა კომისიისა თუ საბჭოს მუშაობაში. კერძოდ:

• **2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, აბიტურიენტთა საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, შეიქმნა საპრეტენზიო საბჭო,** რომლის წევრადაც, სამინისტროს თხოვნით, შეყვანილ იქნა საიას წარმომადგენელი. აღნიშნული საბჭო იხილავდა იმ აბიტურიენტთა საჩივრებს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ გამოცდების მიმდინარეობის პროცესში დაირღვა მათი უფლებები.

• საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო **რესურსცენტრების - უფროსების თანამდებობებზე** გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობაში. საიას თბილისისა და რეგიონულმა ოფისებმა, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო **რესურსცენტრების - თანამშრომლების** კონკურსის წესით შერჩევის პროცესშიც. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით, კონკურსის პირველი ეტაპის - ტესტირების პროცესზე დაკვირვების - განხორციელების მიზნით, დამკვირვებლის სტატუსით მიწვეულ იქნენ საიას წარმომადგენლები.

• 2006 წლის მაისსა და ივნისში **ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში** ჩატარდა **სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები.** ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნივერსიტეტის სტუდენტებთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად წარმოდგენილი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც 2 წარმომადგენლით - ია იმერლიშვილი და ნინო გობრონიძე.

• **ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების** არჩევნებთან დაკავშირებით შეიქმნა საარჩევნო კომისია,რომელშიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თავდაპირველად წევრის, ხოლო შემდგომ თავმჯდომარის სახით იყო წარმოდგენილი. წარმომადგენელი იყო ნინო გობრონიძე.

• საია მონაწილეობდა მედია-საბჭოს დაფუძნებაში და, ამავე დროს, წარმოდგენილი იყო საბჭოს (გამგეობის) წევრად. მედია-საბჭო არის საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი დამოუკიდებელი ორგანო,რომლის მიზანია,მედია-საშუალებებს შორის ეთიკის სტანდარტების დამკვიდრება და, ამასთანავე, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა. არსებობის ერთი წლის მანძილზე საბჭომ განიხილა რამდენიმე საჩივარი სამაუწყებლო კომპანიების და გამომცემლების წინააღმდეგ, დაეყრდნო და განმარტა ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი.

• 2006 წელს ასოციაციის თავმჯდომარე, ორგანიზაციის სახელით, გახლდათ ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოს“ საკონსულტაციო კომიტეტის წევრი. ფონდის საქართველოს საკონსულტაციო კომიტეტის მიზანია ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა პერიოდული ინფორმირება ფონდის საქმიანობისა და შედეგების შესახებ. კომიტეტი შეიქმნა ხელშეკრულების შესაბამისად,ხოლო მისი წევრების შერჩევა მოხდა გამჭვირვალე, ობიექტური კონკურსის შედეგად, სადაც სამ არჩეულ ორგანიზაციას შორის (ერთი - სამცხე-ჯავახეთიდან, ერთი - გარემოსდაცვითი და ერთი - რომელიც საქმიანობს ეროვნულ დონეზე), კომისიის მიერ შერჩეული იყო საიაც.

• საია წარმოდგენილი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ზედამხედველობის საბჭოში, რომელიც შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის პერიოდული მონიტორინგის მიზნით. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან საბჭოს წევრებად დასახელებული იყვნენ: თინა ხიდაშელი, ბესო აბაშიძე და ანა დოლიძე. წევრები ახორციელებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პერიოდულ ვიზიტებს, ინფორმაციასა და საჩივრებზე რეაგირებას და საზოგადოების ინფორმირებას პატიმართა მდგომარეობაზე.

• საია, თავმჯდომარის სახით, წარმოდგენილი იყო ევროპასთან ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრთან არსებულ საზოგადოებრივ საბჭოში, რომელსაც სამინისტრო პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასა და მიღებასთან დაკავშირებით.

• 2006 წლის ივლისი - სექტემბერი - საიას წარმომადგენელი თამარ კორძაია მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის მიერ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი კომისიის (სამართლებრივი ჯგუფის) საქმიანობაში, რომლის ხელმძღვანელობასაც ახორციელებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავებულ იქნა დევნილთა სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგია.

• 2006 წლის აპრილიდან დღემდე – ოთარ კახიძე, საიას სახელით, მონაწილეობს პარლამენტის

იურიდიულ კომიტეტში შექმნილ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში.

• კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრში შექმნილი რელიგიების საზოგადოებრივი საბჭო. საბჭოში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წარმოდგენილია წევრის სტატუსით, თამარ გურჩიანის სახით.

• 2006 წლიდან დღემდე – საია არის „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის საბჭოს წევრი. კოალიციის მიზანია: საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესება საბიუჯეტო პროცესებში და ა.შ. კოალიციის ფარგლებში მიმდინარე პროექტებია:

1. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა";
2. „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მონიტორინგი";
3. „სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი".

www.publicfinance.ge

• 2006 წლის ოქტომბრიდან დღემდე – საია არის **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი.** კომისიის შემადგენლობაში შედიან მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურის, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო, დაახლოებით 2-3 თვეში ერთხელ, აწყობს სხდომას და მსჯელობს ტრეფიკინგის დანაშაულის აღსაკვეთად პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე,ეხმარება მთავრობას ტრეფიკინგის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

• შეფასება – „რეალობა – ქალთა თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები საქართველოში" – მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, გაეროს განვითარების ფონდის ქალთათვის (UNIFEM) რეგიონული პროექტის „ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში" მხარდაჭერით 2006 წელს. კვლევა გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარების ანალიზს წარმოადგენს. კვლევა გამოიცა ბეჭდური სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

• 2007 წლის 10 იანვრიდან 1 მარტამდე საიას წარმომადგენელი მონაწილეობდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონიდან გამომდინარე ცვლილებათა პაკეტის მომზადებაში.

• 2005 წლის დეკემბრიდან საია წარმოდგენილია საქართველოს სოციალურ საკითხთა და დასაქმების სააგენტოს საზოგადოებრივ საბჭოში, რომლის ძირითადი ფუნქციაა სააგენტოს საქმიანობის შესახებ ყოველთვიურად ანგარიშების მოსმენა და მიღებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის გაცნობა, ასევე, სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით, მოსახლეობისგან მიღებულ პრობლემურ საკითხებზე სააგენტოს წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა

კანონშემოქმედებით საქმიანობაში საიას მონაწილეობამ, რაც გამოიხატება პარლამენტიდან საიაში შემოსულ კანონპროექტებზე დასკვნების მომზადებასა და მათ წარდგენაში პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში,2006წელს მიიღო ბევრად ინტენსიური და ორგანიზებული სახე. ორგანიზაციაში შემოღებულ იქნა საპარლამენტო მდივნის პოზიცია. ამ პოზიციის ფუნქციას წარმოადგენს, დროულად მიაწოდოს შემოსული კანონპროექტები შესაბამის თანამშრომლებს დასკვნების მოსამზადებლად, უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფების შექმნა და მუშაობა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით, აგრეთვე, უზრუნველყოს საკომიტეტო განხილვებში საიას მონაწილეობა ორგანიზაციისათვის პრიორიტეტულ საკითხებზე და განახორციელოს ჩვენ მიერ მომზადებულ დასკვნებში გადმოცემული პოზიციის დაცვა.

ამ პერიოდში, რიგ შემთხვევებში, ხდებოდა საიას მიერ მომზადებული დასკვნების გაზიარება და, შესაბამისად, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების შეცვლა. მაგალითად, ჩვენი დასკვნების წარდგენის შემდეგ, ცვლილებები განიცადა ქვემოთ მოცემულ საკითხებზე წარდგენილმა კანონპროექტებმა:

- „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შესატანი ცვლილებები და დამატებები (2006 წლის 28 აპრილი);
- „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა“ და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები (208-ე მუხლში შესატანი ცვლილებები: სასამართლოს გარეთ გამოთქმულ მოსაზრებებზე; გასაჩივრების პროცედურებზე; იმავე მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი);
- „ტერორიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებასთან დაკავშირებით;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები;
- „შრომის კოდექსში“ შესატანი ცვლილებები და დამატებები;
- „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონებში შესატანი ცვლილებები და დამატებები;
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები და მრავალი სხვა.

სულ საანგარიშო პერიოდში საიას მიერ დასკვნა მომზადდა და პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს წარედგინა 73 კანონპროექტზე.

იურიდიული განათლება

საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი განვითარების გზაჯვარედინზე

იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე ემსახურება როგორც სწავლების ცენტრს, ასევე, საიას მიერ დაფუძნებულ იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდს.

ყოველკვირეული სასწავლო კურსები სტუდენტებისა და ახალგაზრდა იურისტებისათვის

იურისტ-სტუდენტთა სასწავლო კურსები, რომელიც 8 წლის განმავლობაში იურიდიული სწავლების ცენტრის ეგიდით საიაში მოქმედებდა, 2005 წლის მაისში დელეგირებულ იქნა საიას მიერ დაფუძნებულ იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდზე.

აღნიშნული სასწავლო კურსების ძირითად მიზანს ახალგაზრდა იურისტების პროფესიული ზრდა, თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოადგენდა, რისთვისაც სასწავლო კურსებზე დანერგილ იქნა სწავლების ისეთი მეთოდოლოგია,რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევდა, თვითონვე შეემუშავებინათ სხვადასხვა სახის იურიდიული დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიეღოთ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში როგორც სასწავლო კურსის შიგნით,ასევე საერთაშორისო დონეზე გამართულ შეჯიბრებებში, რომელთა ორგანიზებას ადგილობრივ დონეზე და ყველა ტექნიკური სახის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებდა ფონდი. ამას გარდა, ხელს უწყობდა იურიდიული წერის კულტურის განვითარებას, სამართლებრივი ენის, დასაბუთების/ არგუმენტირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას და კამათის, დებატის ხელოვნების ჩამოყალიბებას.

2005-2006 წლების სასწავლო კურსებზე საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა მიიღო **130** სტუდენტი, ხოლო 2006-2007 წლის სასწავლო კურსებზე 128 სტუდენტი. შეფასება ხდებოდა კრედიტების სისტემის საფუძველზე, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა და მეტად ორგანიზებულს ხდიდა სტუდენტსაც და ტრენერსაც.

2005-2006 წლების სასწავლო კურსების წარმატებაზე მიუთითებს სტუდენტების მიერ შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტები, სამართლის სხვადასხვა დარგში მომზადებული საკურსო ნაშრომები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, რომლებიც 2006 წლის მაისში გამართა თითოეულმა სასწავლო კურსმა, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საკითხთან დაკავშირებით, და დებატების ტურნირი, რომელიც 2006 წლის აპრილში გაიმართა. სტუდენტებმა აჩვენეს საკმაოდ მაღალი შედეგები და მომზადების ის დონე, რომლითაც მათ უკვე თამამად შეეძლოთ, დაეწყოთ პრაქტიკული საქმიანობა.

დებატების ტურნირზე გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი და 10 საუკეთესო სპიკერი, რომელთაც ფონდმა გადასცა პრიზები.
2006 წლის კურსდამთავრებულებისთვის, საბოლოო ტესტირების საფუძველზე, გაიცა **48 დიპლომი და 39 სერტიფიკატი.**
რამდენიმე კურსდამთავრებულს რეკომენდაცია გაეწია სხვადასხვა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.
ფონდმა, წარმატებული გამოცდილების საფუძველზე, 2006-2007 სასწავლო წლისათვის, გარდა თბილისისა, დებატების სასწავლო კურსის დანერგვა უზრუნველყო საიას 5 რეგიონული ოფისის მასშტაბით: გორი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, რუსთავი, სადაც დებატების კურსებში მონაწილეობას იღებს 100-მდე სტუდენტი. აღნიშნული კურსის არსებობა რეგიონულ დონეზე ფასდაუდებელია.

ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა ამ ეტაპზე თვითდაფინანსებაზეა, რასაც უზრუნველყოფს ფასიანი სწავლება.

იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის საქმიანობა

ყოველკვირეული სასწავლო ჯგუფების გარდა, საიას სწავლების ცენტრის მიერ ეწყობოდა სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებები. 2005-2006 წლებში სწავლების ცენტრის მიერ ხორციელდებოდა 2 საგანმანათლებლო და ერთი კამპანიური პროექტი (იხ. სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება - ათასწლეულის განვითარების მიზნები დღის წესრიგში).

1. „ცნობიერების ამაღლება სახელშეკრულებო და ვალდებულებით სამართალში“ - CILC-ის დაფინანსებით.
პროექტის ფარგლებში საქმიანობები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით:

საანგარიშო პერიოდში იურიდიული სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუკეთდა სახელშეკრულებო და ვალდებულებით სამართალში სემინარებს მოსამართლეებისა და ადვოკატების მონაწილეობით - სულ 4 სემინარი. აღნიშნულ სემინარებში მონაწილეობა მიიღო **80-მა** სამოქალაქო საქმეების განმხილველმა მოსამართლემ და **30-მა** ადვოკატმა და კონსულტანტმა. მათ შორის იყვნენ იურისტები საიას ცენტრალური და რეგიონული ოფისებიდან. სემინარების მიზანს წარმოადგენდა ქართული სახელშეკრულებო პრაქტიკის გაანალიზება და მსჯელობა საკანონმდებლო ხარვეზებზე, რომლებიც სწორი პრაქტიკის დანერგვას აფერხებს.

პროექტის ფარგლებში, 10-12 თებერვალს, ორგანიზება გაუკეთდა მოსამართლეთათვის სემინარს **გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებასთან** დაკავშირებულ საკითხებზე. სემინარზე წარმოდგენილი იყო პარტნიორი ორგანიზაციის CILC-ის 2 წარმომადგენელი და ჰოლანდიელი ექსპერტი (ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე). სემინარში მონაწილეობა მიიღო **30-მა მოსამართლემ იმ სასამართლოებიდან, სადაც პოტენციურად უნდა შედიოდეს აღნიშნული ტიპის დავები (თბილისი, ბათუმი, ფოთი).**

პროექტის ფარგლებში ჩატარებული სემინარების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა მოამზადა სახელმძღვანელო ვალდებულებით სამართალში – ქართული და ჰოლანდიური სახელშეკრულებო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, ავტორები არიან ქართველი და ჰოლანდიელი ექსპერტები. სახელმძღვანელო გამოიცემა 2007 წელს.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და საქართველოს რადიოს I არხის მეშვეობით გადაიცა **6 სიუჟეტი მოსახლეობისთვის აქტუალურ სახელშეკრულებო და ქონებრივ საკითხებზე.** რადიოგადაცემებზე შემოსულმა ზარებმა დაადასტურა, რომ ექვსივე თემა მოსახლეობისთვის აქტუალური და საინტერესო იყო. შესაბამისად, ამ თემებზე მომზადდა **6 ლიფლეტი და** გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მოსახლეობისთვის საინტერესო დებულებები სახელშეკრულებო სამართლიდან და ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია განთავსდა ქალაქში მოძრავ 15 ავტობუსზე სარეკლამო ფირნიშების სახით.

2. პროექტი **„გარემოსდაცვითი ინსტრუქციისა და პროცედურების შემუშავებისათვის ხელშეწყობა“** მიმდინარეობდა CD-ის დაფინანსებით. საქმიანობები ხორციელდებოდა შემდეგი მიმართულებით:

2005 წლის სექტემბერში ორგანიზება გაუკეთდა 3 ტრენინგს გარემოსდაცვითი ინსპექციის 80-მდე თანამშრომლისთვის. ტრენინგზე განხილულ იქნა ის სამართლებრივი საკითხები, რომელთანაც ინსპექციის თანამშრომლებს ყოველდღიური შეხება ექნებათ. განხილულ იქნა საკანონმდებლო ხარვეზებით განპირობებული პრობლემატური საკითხები და მონაწილეები შეთანხმდნენ ერთიან მიდგომაზე.

სწავლების ცენტრის ორგანიზებით მომზადდა სახელმწიფო ინსპექციის ინსტრუქციის პროექტი, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის აგვისტოს.

მომზადდა **ბუკლეტი - გარემოს დაცვის ინსპექცია საზოგადოების სამსახურში,** რომელშიც მოქალაქეთათვის განმარტებულია გარემოს დაცვის ინსპექციის უფლებები და მოვალეობები.

იურიდიული ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაარსებისთანავე საფუძველი ჩაეყარა იურიდიული ბიბლიოთეკის დაფუძნებას. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ბიბლიოთეკის საწიგნო ფონდს შეადგენდა მხოლოდ საიას წევრების შემოწირულობები და მათი პირადი ბიბლიოთეკების კატალოგები. ხდებოდა წიგნების გაცვლა-გამოცვლა და თხოვება წევრებზე. ამ დროისათვის ბიბლიოთეკა არსებობდა და იზრდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი წიგნებითა და ბეჭდვითი გამოცემებით. საიას ბიბლიოთეკა დღესაც იღებს ბეჭდვით გამოცემებს საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, როგორებიცაა: COLPI, ABA, Law Society of England and Wales, UNHCR, OSI, SWISS FEDERAL Assembly და ა.შ.

საიამ ბიბლიოთეკისთვის გრანტი პირველად 1996 წელს (EURASIA) მიიღო,რამაც საშუალება მოგვცა,შეგვეძინა ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოები და კოდექსები. სწორედ ამ დროს დავიწყეთ ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და მისი მოწყობა. ამის შემდეგ, 2005 წლამდე, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ფინანსდებოდა, რის საფუძველზეც, იზრდება და მდიდრდება. ABA/CELLI, UNHCR, UN OHCHR, IRIS–ის გრანტებით შესაძლებლობა მოგვეცა,შეგვეძინა ადამიანის უფლებათა და, განსაკუთრებით, ევროპის ადამიანის უფლებათა საკითხებზე გამოცემული წიგნები.

დღეისათვის საიას იურიდიული ბიბლიოთეკის საწიგნო ფონდი დაახლოებით 15 000 ერთეულს ითვლის (რეგიონული ოფისების ბიბლიოთეკების ფონდის ჩათვლით). ბიბლიოთეკები ფუნქციონირებს საიას თბილისის და შვიდ რეგიონულ ოფისში. ბიბლიოთეკებში დაცულია სახელმძღვანელოები ქართულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ბიბლიოთეკას დღეში, საშუალოდ, 50-60 მომხმარებელი ჰყავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია არა მარტო საიას წევრს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენთან დადიან არა მარტო სტუდენტები, არამედ სხვა პროფესიის და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები.

2003-2005 წლებში განხორციელდა ბიბლიოთეკის ავტომატიზაცია. დღეს უკვე ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც ბარათული ტიპის, ასევე, ელექტრონული კატალოგიც.

ბიბლიოთეკით სარგებლობის აქტივობა თვეების მიხედვით

წელი	2006 წელი										
თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	IX	X	XI	XII
მომხმარებ.	776	750	1391	1243	1277	1059	105	422	786	998	1009

ორგანიზაციული განვითარება

2002-2006 წლების საქმიანობის შეფასება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო შეფასება, რომელიც ფონდ "CORDAID"-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. შეფასება მიზნად ისახავდა, ნათლად აღეწერა ორგანიზაციული განვითარების პროცესები გადადგმული ნაბიჯებისა და მისაღწევი მიზნების კონტექსტში. შეფასება მოიცავდა 2002-2006 წლების პერიოდს. შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდა როგორც ცვალებად გარემოში საიას სტრატეგიასა და პოლიტიკაზე, ასევე, ორგანიზაციის ინსტიტუციურ ასპექტებზე და მის რეგიონულ ოფისებზე მთელს ქვეყანაში.

შეფასებამ აჩვენა, რომ ორგანიზაციას მოსახლეობაში აქვს კარგი იმიჯი და სარგებლობს მაღალი ნდობით. ორგანიზაციის მომსახურება, საიას გარშემომყოფთა მხრიდან, მაღალ შეფასებას იმსახურებს. ბენეფიციარები და მიზნობრივი ჯგუფები, ისევე, როგორც პარტნიორი ორგანიზაციები, მიიჩნევენ, რომ საია არის საიმედო, პროფესიული საყრდენი და ხანგრძლივი პარტნიორი. საია საზოგადოებაში აღიქმება, როგორც ორგანიზაცია, რომელიც გამოირჩევა პროფესიული გადაწყვეტილებებით.

თუმცა, შემფასებელი ჯგუფის მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ ორგანიზაციას დღემდე არ გააჩნია დაწერილი პოლიტიკა და სტრატეგია. შესაბამისად, არც რეგიონულ ოფისებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია. ძალზე მნიშვნელოვანი იყო შემფასებელი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომ საიას გამგეობას სასწრაფოდ, წერილობით შეემუშავებინა ხედვა, მისია, პოლიტიკა და სტრატეგიული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს საიას აქტივობებს მომავალ წლებში. საიას სტრატეგიის შესამუშავებლად 4-6 დეკემბერს დაბა გუდაურში ჩატარდა შეხვედრა მოწვეული ექსპერტების, საიას გამგეობის წევრების, სათაო და რეგიონული ოფისების თანამშრომელთა მონაწილეობით. მონაწილეები შეთანხმდნენ ორგანიზაციის მისიის განაცხადის ფორმულირებასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე. ამჟამად სტრატეგია დამუშავების პროცესშია.

საანგარიშო პერიოდში რეგიონული ოფისების მხრიდან შეიმჩნეოდა უფრო მეტი დეცენტრალიზაციის ტენდენცია. ეს ნიშნავს იმას, რომ რეგიონული ოფისები გახდნენ უფრო დამოუკიდებლები, მათ შორის გაუმჯობესდა ჰორიზონტალური ურთიერთობები, მნიშვნელოვნად დაიხვეწა საქმიანობის დაგეგმვის უნარ-ჩვევები და მეტი წარმატებით გამოირჩევიან დონორებთან კონტაქტის თვალსაზრისით. საანგარიშო პერიოდში საიას აჭარისა და ქუთაისის ფილიალებმა საპროექტო განაცხადები უშუალოდ წარადგინეს დონორებთან. რამდენიმე მათგანი ამჟამად უკვე დაფინანსებულია. აღნიშნული ინიციატივებია:

- საიას აჭარის ფილიალი – „უფლებადაცული მოქალაქეები აჭარაში". დაფინანსებულია ეუთოს მიერ;
- საიას ქუთაისის ფილიალი – „პრივატიზაციის შუქ-ჩრდილები";
- საიას ქუთაისის ფილიალი – „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის მონიტორინგი" (წარდგენილია დასაფინანსებლად);
- საიას ქუთაისის ფილიალი – „არჩევნები და მედია" (დაფინანსებულია ამერიკის განვითარების სააგენტოს და ურბანული ინსტიტუტის მიერ);
- საიას ქუთაისის ფილიალი – „სტუდენტები ქალთა უფლებებისათვის" (დაფინანსებულია „LDA - საქართველოს" მიერ).

დეტალური ინფორმაცია ამ პროექტების, თითოეული ფილიალისა და რეგიონული ოფისის საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მათ წლიურ ანგარიშებში: www.gyla.ge

საიას 2007-2010 წლების სტრატეგია

საიას გამგეობამ, 2006 წლის ზაფხულში ორგანიზაციული შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე, გადაწყვიტა ორგანიზაციის განვითარების 3 წლიანი სტრატეგიის შემუშავება (2007-2010). სტრატეგიის შემუშავება, აგრეთვე, განაპირობა სამოქალაქო საზოგადოებასა და, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა, რაც იწვევს ორგანიზაციის ძირითადი მიზნებისა თუ პრინციპების შენარჩუნებით ახალი სტრატეგიული ამოცანების დასახვის აუცილებლობას. სტრატეგიის შემუშავებაში საიას ეხმარება ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC). სტრატეგიის შემუშავების მიზნით, დაგეგმილია რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ორგანიზაციის გამგეობის, დირექტორატისა და რეგიონული ოფისების მონაწილეობით. სტრატეგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება დაგეგმილია 2007 წლის პირველ ნახევარში.


2500000
2000000
1500000
1000000
500000
0
679 544.2
848 905.02
1 249 980.3
1 608 983.9
2 275 458
1 652 552.37
1 579 769.32
1,740,747.65
1999
2000
2001
2002
2003
2004
2005
2006


0
100000
200000
300000
400000
500000
ABA 32,879.08
CILC 77,924.86
CORDAID 130,932.94
DRC 60,817.51
European Union / Oxfam Novib 341,418.60
EHRAC 20,843.37
Embassy of the Netherlands 10,933.82
EURASIA 22,584.94
ICRC 10,237.00
NED 46,980.00
OECD 18,700.53
OSCE 23,515.15
OSGF 36,987.92
OSI 52,898.77
OSJI 39,358.31
Oxfam GB 59,053.15
Oxfam Novib 335,830.00
UNFPA 54,698.21
USAID 307,932.47
World Learning 17,219.14
საწევრო შენატანი 6,826.50
სხვადასხვა კერძო და იურიდიულ პირთა შემოწირულობა 32,175.38

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2005 წლის 1 ოქტომბერი – 2006 წლის 30 სექტემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მე-12 და მე-13 საერთო კრებებს შორის პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, გრანტის, შემოწირულობებისა და საწევროს სახით მიღებულია 1,740,747.65 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

დონორები	ლარი
ABA	32,879.08
CILC	77,924.86
CORDAID	130,932.94
DRC	60,817.51
European Union / Oxfam Novib	341,418.60
EHRAC	20,843.37
Embassy of the Netherlands	10,933.82
EURASIA	22,584.94
ICRC	10,237.00
NED	46,980.00
OECD	18,700.53
OSCE	23,515.15
OSGF	36,987.92
OSI	52,898.77
OSJI	39,358.31
Oxfam GB	59,053.15
Oxfam Novib	335,830.00
UNFPA	54,698.21
USAID	307,932.47
World Learning	17,219.14
საწევრო შენატანი	6,826.50
სხვადასხვა კერძო და იურიდიულ პირთა შემოწირულობა	32,175.38

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 138 თანამშრომელი, მათ შორის – რეგიონებში 83, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 792,930.18 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 612 პიროვნებაზე – საერთო თანხით 163,557.85 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ ანაზღაურებებსა და ჰონორარებზე დაკავებული იქნა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში:

	ლარი
საშემოსავლო გადასახადი	120,097.69

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 121,880.06 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, რეგიონებისთვის – 13,044.50 ლარის ღირებულების.
ამავე პერიოდში შეძენილია საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი 18,616.10 ლარის ღირებულების, მათ შორის, რეგიონებისთვის – 5,050.85 ლარის ღირებულების.
აღნიშნულ პერიოდში ასოციაციის როგორც ცენტრალური ოფისის, ასევე რეგიონული ოფისების ბიბლიოთეკებისთვის შეძენილ იქნა 5133.52 ლარის ღირებულების წიგნები და სხვადასხვა პერიოდული გამოცემა.
ასოციაციის მიერ ორგანიზებული სემინარებისა და შეხვედრების მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 48,836.07 ლარი.
ასოციაციის თანამშრომლებისა და წევრების სამივლინებო ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 109,822.76 ლარი.
ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 34,067.52 ლარი.
ამავე პერიოდში ორგანიზაციაში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 21,765.78 ლარი, მათ შორის რეგიონებში – 8,414.64 ლარი.
საწვავის ხარჯმა საანგარიშო პერიოდში თბილისსა და რეგიონებში შეადგინა 10,397.73 ლარი.
საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 1,612,350.28 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

დონორები	ლარი
ABA	41,884.53
CILC	75,036.73
CORDAID	250,052.15
DRC	38,847.52
European Union / Oxfam Novib	223,693.72
EHRAC	4,825.33
Embassy of the Netherlands	634.00
EURASIA	27,679.46
ICRC	10,232.00
NED	10,546.68
OECD	7,328.49
OSCE	44,940.42
OSGF	21,398.37
OSI	34,125.41
OSJI	77,707.99
Oxfam GB	11,609.07
Oxfam Novib	361,113.85
UNFPA	53,401.45
USAID	292,147.93
World Learning	17,219.14
საწევრო შენატანი	1,708.55
სხვადასხვა კერძო და იურიდიულ პირთა შემოწირულობა	6,217.49

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ორგანიზაციული ბალანსი

2006 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

	დეკ. 31, 2006
აქტივები	
ძირითადი საშუალებები	824,685.81
სხვა აქტივები	2,000.00
მიმდინარე აქტივები	
მისაღები ვალდებულებები	821,582.23
ფულადი სახსრები	399,580.68
მთლიანი მიმდინარე აქტივები	1,221,162.91
მიმდინარე ვალდებულებები	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-4,925.89
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	-4,925.89
წმინდა მიმდინარე აქტივები	**1,226,088.80**
საკუთარი აქტივები	2,052,774.61
წმინდა აქტივები	2,052,774.61

თავმჯდომარე

ბუღალტერი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველი ორგანოები

გამგეობის წევრები

გიორგი ჩხეიძე
დავით უსუფაშვილი
თინათინ ხიდაშელი
ლალი ჩხეტია
თამარ მეტრეველი
ანა დოლიძე
ბესარიონ აბაშიძე
ზურაბ მარაქველიძე
კობა დავითაშვილი
თამარ გურჩიანი
ქეთევან კვინიკაძე
გიორგი ზედელაშვილი
თამარ ქალდანი
ეკა ბესელია
პაატა კიკვიძე
ქეთევან ჯელაძე
დიანა ბერეკაშვილი
ლევან მოსახლიშვილი
მალხაზ ღუღუნიშვილი
კონსტანტინე კუბლაშვილი
ნიკოლოზ ძიმცეიშვილი

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

ქუთაისის ფილიალი - ლაშა გვენეტაძე
აჭარის ფილიალი - პაატა შარაძე
რუსთავის ოფისი - ეკა ფავლენიშვილი
გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი - ლელა ტალიური
ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი - სერგო ისაშვილი

GYLA

დაგვიკავშირდით:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ცენტრალური ოფისი
თბილისი, კრილოვის ქ. #15, 0102
ტელ: (995 32) 936101 / 952353
ფაქსი: (995 32) 923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
ნინოშვილის ქ. #3, 4600
ტელ: (231) 41192
ფაქსი: (231) 46523

აჭარის ფილიალი
ფარნავაზ მეფის ქ. #116, 6000
ტელ: (888222) 76668, 73332

გორის ოფისი
სტალინის ქ. #18/3, 4600
ტელ: (270) 79842, 73484

რუსთავის ოფისი
მშენებელთა ქ. #4/7, 3700
ტელ: (24) 155337, 158811

თელავის ოფისი
ბარნოვის ქ. #3, 2200
ტელ: (250)71371

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. #25/10, 3500
ტელ: (296) 73138
ფაქსი: 822001484/822001079

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. #29, 1810
ტელ: (246) 21554

www.gyla.ge
© 2006